

106  
1976

საქართველო  
ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მთავრობის  
დარგენილებათა კრებული

№ 5

საქმეზგარი—ოქტომბერი

1976 წ.



# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სამტემბერი—ოქტომბერი

1976 წ.

## შ ი ნ ბ ა რ ს ი

### საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

67. „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 14 ივლისის № 560 დადგენილების თაობაზე.

### საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართ- ველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

68. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოთა კოლექტივებსა და მონაწილეებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ.
69. საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების

კ. შარტისის ს.ს. ს.ს. ს.ს.  
საბელმწიფო რ. ს.ს.ს.ს.ს.



საჯაროობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საზოგადოებრივი დათვლიერება-კონსტრუქციის მოწყობის შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება**

70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 12 თებერვლის № 63 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

- 71. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური სამეურნეობათა-შორისო სასაბურვე გავრთიანების — „საქსაბურვის“ შექმნის შესახებ.
- 72. საცხოვრებელ სადგომებში შესახლების სანიტარიული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.
- 73. ლუდის შესასყიდი ფასების შესახებ.
- 74. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ.
- 75. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
- 76. ბუნების ან კულტურის ძეგლებად წყლის ობიექტების ცნობის წესის შესახებ.
- 77. სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-სახვერ, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს მიწების რეკულტივაციის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების შესახებ.
- 78. მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ.
- 79. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არხიტრაეების დებულების დამტკიცების შესახებ.
- 80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის № 234 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არხიტრაეის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
- 81. ივანე მაჩაბელის სახელობის რესპუბლიკური პრემიის დაწესების შესახებ.
- 82. „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილებაში ნაწილობრივ დამატებათა თაობაზე.
- 83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში“ ცვლილებათა შეტანის შესახებ.
- 84. აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გავრთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.

## საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველო- ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

**67** „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ათვისების საკითხებზე სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ქალაქ კარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 14 ივლისის № 560 დადგენილების თაობაზე

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ათვისების საკითხებზე სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 14 ივლისის № 560 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩათვალა მე-9, მე-12, მე-13 პუნქტები სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივნისის № 536 დადგენილებისა „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1961 წ., № 10 მუხ. 79), რომელიც დაგზავნილია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 ივლისის № 445 დადგენილებით.

საქართველოს კვ  
ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
მ. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. პატარიძე.

ქ. თბილისი, 1976 წ. 21 სექტემბერი, № 700.



**საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაები**

**68** ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამართველოთა კოლექტივებსა და მონაწილეებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებალად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომითი აქტივობის შემდგომი გაძლიერების, ამ დიდმნიშვნელოვანი მშენებლობის კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო გაფართოებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაწესდეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამართველოთა კოლექტივებსა და მონაწილეებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ყოველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს კვ  
ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შავარდნაძე.**

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**ე. პატარიძე.**

საქართველოს პროფკავშირთა  
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე  
**თ. მოსაშვილი.**

საქართველოს ალკვ  
ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 14 სექტემბერი, № 679.

## 69 საქართველოს სსრ მრავალშემადგენლობის, მრავალპარტიის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების საჯაროების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსის მოწყობის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი ძირითადი პრინციპის — შრომითი მეტოქეობის საჯაროების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად და ხარისხიანად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებს, უკეთ აანალიზებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, უზრუნველყოფენ შეჯიბრებისა და მის მსვლელობაში წარმოშობილ შრომით და პატრიოტულ თაოსნობათა საჯარობას.

ამასთანავე სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობა და მისი საჯარობა რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება დღევანდელი დღის მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო მონაწილეობას დისციპლინის განმტკიცებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

სახელმწიფო გეგმების, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების უცლობლივ შესრულებისათვის, „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში მშრომელთა უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი აღ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების საჯაროების საუკეთესო ორგანიზაციისათვის საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსი.

2. დამტკიცდეს საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსის ჩატარების თანდართული პირობები და წესი.

3. დაწესდეს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც ყველაზე კარგ მაჩვენებლებს მოიპოვებენ სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საზოგადოებრივ დათვალეობა-კონკურსში და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, დაჯილდოვდებიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით, აგრეთვე ფულადი პრემიებით შემდეგი ოდენობით:

ორი პირველი პრემია — თითოეული 1500 მანეთი;

სამი მეორე პრემია — თითოეული 1000 მანეთი;

ხუთი მესამე პრემია — თითოეული 500 მანეთი;

ფულადი პრემია შრომითს კოლექტივებს მიეცეთ ზეგეგმითი მოგების ხარჯზე ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული ზეგეგმითი ეკონომიიდან, ხოლო დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ზეგეგმითი მოგების უკმარობისას, — ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

4. საზოგადოებრივი დათვალეობა-კონკურსის ხელმძღვანელობა და მისი შედეგების შეჯამება დაეკისროს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას.

5. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა და ტერიტორიულმა კომიტეტებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გააცნონ ეს დადგენილება საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყონ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფართო მონაწილეობა სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საზოგადოებრივ დათვალეობა-კონკურსში და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

6. მასალები შედეგების შესაჯამებლად და საზოგადოებრივ დათვალეობა-კონკურსში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების დასაჯილდოებლად წარუდგინონ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანე-

ლობის რესპუბლიკურ კომისიას 1977 წლის 10 იანვრისათვის.

7. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
**ე. შეკარდნაძე.**

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**ზ. პატარიძე.**

საქართველოს პროფკავშირთა  
 რესპუბლიკური საბჭოს  
 თავმჯდომარე  
**თ. მოსაშვილი.**

საქართველოს ალკპ  
 ცენტრალური კომიტეტის  
 მდივანი  
**შ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 12 სექტემბერი № 750





### დამტკიცებულია

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 12 ოქტომბრის № 750 დადგენილებით

## პირობები და წესი

საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსის მოწყობისა

1. დათვალიერება-კონკურსი ეწყობა 1976 წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მასალებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების შესახებ პარტიის რაიონული კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები წარუდგენენ სამინისტროებსა და უწყებებს და დარგობრივ პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების შესახებ — დარგობრივ პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს.

3. სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე დარგობრივ პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტები ამ მასალების საფუძველზე წარუდგენენ სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კომისიას ცნობებს საზოგადოებრივ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულის წოდების მისაკუთვნებელ კანდიდატებზე არა უგვიანეს 1977 წლის 10 იანვრისა.

4. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია თავის სხდომაზე განიხილავს მასალებს, შეამოწმებს ადგილებზე სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, განსაკუთრებით მისი საჯაროობის დონეს, და განსაზღვრავს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებითა და ფულადი პრემიებით დასაჯილდოებელ კანდიდატურებს.

### საზოგადოებრივ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთა განსაზღვრის ძირითადი პირობები

1. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების დაცვა იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) შეჯიბრების საჯაროობას უზრუნველყოფს:

— მეტოქეობის სულისკვეთების განვითარება, შეჯიბრებაში ჩაბმულთა ინიციატივის სტიმულირება, მათი შემოქმედებითი აზრის გაღვივება, შრომის ეფექტიანობის ამაღლების, მუშაობის რაც შეიძლება რაციონალური ზეარხების

გამოყენების რეზერვების ძიებისადმი მისწრაფება, მუშაკთა საზოგადოებრივ-თვალთახედვის გაფართოება, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდა;

— საჯაროობის უზრუნველყოფის ტრადიციული ფორმების — მაჩვენებელთა დაფების, საინფორმაციო ფურცლების, „ელვების“, ბიულეტენების, პლაკატების გამოყენება და ა. შ.

— ამ მიზნით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის, შუქტაბლოების ფართოდ გამოყენება;

— მრავალტრიაჟიანი და კედლის გაზეთების, კომუნისტური შრომისა და მოწინავე გამოცდილების სკოლების, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის, პოლიტიკური განათლების ქსელის, საუბრების, ლექციებისა და მოხსენებების გამოყენება;

ბ) შეჯიბრებაში მოწინავე გამოცდილების გავრცელებას განსაზღვრავს:

— ყველა მუშის მიერ წარმოების მოწინავეთა დონის მიღწევა;

— ბათუმელ მანქანათმშენებელთა, ამხ. გ. კურტანიძის ბრიგადის, რუსთაველ მეტალურგთა (სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ), მშენებლობაში ნ. ზლობინის ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის მეთოდის და სხვა ინიციატივითა და თაოსნობათა გავრცელება კოლექტივში;

გ) შეჯიბრების შედეგების შედარება ხდება შეჯიბრების გამარჯვებულთა განსაზღვრის კრიტერიუმების სრულყოფით, სადაც ქმედითობის ობიექტური საზომი უნდა იყოს არა იმდენად გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულების დონე, რამდენადაც წარმოების ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მისი ეფექტიანობის ამალღების ფაქტიურად მიღწეული ტემპი, შრომის ნაყოფიერების დონე, პროდუქციის ხარისხი, წარმოების შინაგანი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენება. ეს კრიტერიუმები სავსებით უნდა შეესაბამებოდეს „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, როცა შეჯიბრების შედეგების შედარებისას უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება მიცემული და შესრულებული გეგმების დაძაბულობა, აგრეთვე საწარმოო დანახარჯების დონე.

2. შეჯიბრებაში მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემის გამოყენების ეფექტიანობის დონე, რაც ხელს უწყობს დამკვრელური შრომის პრესტიჟის ამაღლებას, წარმოების მოწინავეთა, იმ ადამიანთა დაჯილდოებას, რომლებიც პატიოსნად და შემოქმედებითად ეკიდებიან შრომას, და ამავე დროს გადაჭრით მოქმედებს შრომისა და საწარმოო დისციპლინის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევებზე. ამასთანავე შეჯიბრებაში სტიმულირების სისტემის მოქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო მოწინავეებსა და ჩამორჩენილებზე, არამედ მის ყველა სხვა მონაწილეზეც, რომლებიც შეჯიბრებაში ჩაბმულთა ძირითად მასას შეადგენენ.



3. შეჯიბრების ხელმძღვანელობის პრაქტიკა და დონე, პარტკავშირებისა და პროფკავშირების, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის ადგილობრივი კომისიების როლი შეჯიბრების ორგანიზაციაში.

4. შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების, საზოგადოებრივი კვების, ვაკუუმის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის მიზნით მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ჯანსაღი პირობების შექმნის მდგომარეობა, დენადობის, ტრავმატიზმის დონე, ხელით მუშაობის პროცენტი და ა. შ.



საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსის შედეგები ქვეყნდება პრესაში, გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება**

**70 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 12 თებერვლის № 63 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წინადადება იმის შესახებ, რომ 1976 წლის მეორე ნახევრიდან დაწესდეს რკინიგზის ვაგონების საუკეთესო გამოყენებისათვის შეჯიბრების გამარჯვებულთა დასავიღობებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 1000 მანეთის ოდენობით, და შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოქმედ პირობებში, ამასთან გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 12 თებერვლის № 63 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე  
**შ. კიკნაძე.**

საქართველოს  
პროფკავშირთა რესპუბლიკური  
საბჭოს თავმჯდომარე  
**თ. მოსაშვილი.**



## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში

**71** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური სამეურნეო-განათავსებელი სამსახურის განყოფილების — „საქსათბურის“ შიდა შიდა განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა განხორციელდა ბოსტნეულის, ხილისა და განსაკუთრებით საადრეო კარტოფილის წარმოების გადიდებისათვის. ამის მეორეხარისხით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქების მოსახლეობის, სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების მომარაგება აღნიშნული პროდუქტებით.

ვაჭრობის მეთოდი „მინდორი-მაღაზია“ სულ უფრო ფართო მასშტაბით არის გამოყენებული, რის შედეგადაც 1975 წელს რესპუბლიკის ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში მიიღეს 61.100 ტონა ბოსტნეული, 20.840 ტონა ხილი, 70.700 ტონა კარტოფილი, რაც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე 1973-1974 წლებში.

მიღწეულის მიუხედავად, ბოსტნეულის წარმოების დონე მაინც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას ამ დიდმნიშვნელოვან პროდუქტებზე, და ბოსტნეულის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე რესპუბლიკაში ჩამორჩება საერთო-საქავშირო მაჩვენებელს.

პრაქტიკაში დანერგულია ბოსტნეულის სეზონური წარმოება, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის რიტმულ მომარაგებას მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. ეს იმით არის განპირობებული, რომ რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სასათბურე კომბინატების მშენებლობას, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ ბოსტნეულის დეფიციტი შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში.

1975 წლის დამლევს რესპუბლიკაში სათბურების საერთო ფართობი შეადგენდა მხოლოდ 21 ჰექტარს, რაც მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ბოსტნეულზე. გაუმართლებლად გაჭიანურდა სასათბურე კომბინატების მშენებლობა გაგრისა და კუმისის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობებში, არ შესრულებულა ოხურეის სასათბურე კომბინატის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ დღემდე არ დაუწყია მოქმედი სასათბურე კომბინატების ტექნიკური მომსახურება, რაც ართულებს სათბურების ნორმალურ ექსპლუატაციას და მათს მომზადებას შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის პერიოდისათვის.

სასათბურე მებოსტნეობის არადამაკმაყოფილებელი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სასათბურე კომბინატების განლაგების ერთიანი გენერალური გეგმის უქონლობა და მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი ხელმძღვანელობის გათიშულობა, რაც იწვევს მატერიალური საშუალებებისა და რესურსების დაქსაქსვას და ამცირებს განსახორციელებელ ღონისძიებათა ეკონომიკურ ეფექტს.





იმ მიზნით, რომ რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდოს ბოსტნეული-მეურნეობა არასეზონურ პერიოდში და ქალაქების მოსახლეობა, სამრეწველო ცენტრები და კურორტები რიტმულად იქნენ უზრუნველყოფილი ბოსტნეულით მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და შეიქმნას აღნიშნულ სამინისტროსთან რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო სასათბურე გაერთიანება „საქსათბური“ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო სასათბურე მეურნეობების ბაზაზე.

2. რჩევა მიეცეთ საკოლმეურნეო და სამეურნეობათაშორისო სასათბურე მეურნეობების რწმუნებულთა კრებებს განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი რესპუბლიკურ სამეურნეობათაშორისო სასათბურე გაერთიანება „საქსათბურის“ შემადგენლობაში მეზაიე წევრებად შესვლის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსათბურის“ სტრუქტურა და შტატები, შეუთანხმოს ისინი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მმართველობის აპარატისათვის 1976 წელს დამტკიცებული რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო სასათბურე გაერთიანება „საქსათბურის“ დებულება, შეუთანხმოს იგი დაინტერესებულ უწყებებს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

5. დამტკიცდეს 1980 წლისათვის გაერთიანება „საქსათბურის“ სასათბურე მეურნეობათა ფართობი 112 ჰექტარის ოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში — 41 ჰექტარი და სახელმწიფო მეურნეობებში — 71 ჰექტარი, დანართის თანახმად.

6. ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის ბოსტნეულით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეისწავლოს სათბურების მშენებლობის შესაძლებლობა თერჯოლის რაიონში ან წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ზონაში, და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ 1977 წლის 1 იანვრიდან აიყვანოს სრულ ტექნიკურ მომსახურებაზე რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო სასათბურე გაერთიანება „საქსათბურის“ მეურნეობები და უზრუნველყოს მათი მომსახურება კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხაზით სახელმეურნეო საწყისებზე.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ვარდამის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, გორის, მახარაძის, ქარელის, თელავის, გურჯაანისა და მცხეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკო-

მებს გაუწიონ გაერთიანება „საქსათბურის“ სასათბურე კომბინატებსა და შენებლო ორგანიზაციებს საჭირო დახმარება სათბურების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 1 სექტემბერი, № 618.

## 72 საცხოვრებელ სადგომებში შესახლების სანიტარიული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საცხოვრებელ სადგომებში შესახლების თანდართული სანიტარიული მოთხოვნები.
2. აიკრძალოს მოქალაქეთა შესახლება ისეთ სადგომებში, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ მოთხოვნებს.
3. დავალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საცხოვრებელ სადგომებში შესახლების სანიტარიული მოთხოვნებით, ხოლო საცხოვრებლად გამოუსადეგარი ფართობი გამოიყენონ დამხმარე სადგომებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 3 სექტემბერი, № 628.



საქართველოს სსრ მინისტრთა  
1976 წლის 3 სექტემბრის № 628  
დადგენილების დანართი

### საცხოვრებელ სადგომებში შესახლების სანიტარიული მოთხოვნები

1. საცხოვრებლად ვათვალისწინებული სადგომები უნდა აკმაყოფილებდნენ სანიტარიულ ნორმებსა და მოთხოვნებს ფართობის, განათების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობის, განიავების მიხედვით და უზრუნველყოფდნენ ნორმალური, ჯანსაღი ცხოვრების პირობებს.

2. არ შეიძლება შესახლებულ იქნეს და საცხოვრებლად გამოუსადეგარია შემდეგ სადგომები:

— მოთავსებულია ცოკოლის (ნახევარსარდაფის) და სარდაფის სართულებზე ან წითელ ხაზზე მდებარე შენობათა პირველ სართულებზე, თუ იატაკისა და ტროტუარის დონეთა სხვაობა შედაგენს + 0,5 მეტრზე ნაკლებს;

— ფართობი 8 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია;

— სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2,5 მეტრზე ნაკლებია;

— სიგანე 2 მეტრი და ნაკლებია;

— სიგრძე 6 მეტრზე მეტია ერთი მხრიდან განათების პირობებში;

— საშუაი ღიობების ფართობის შეფარდება იატაკის ფართობთან არა-ნორმალურია (1:5,5-ზე მეტი და 1:8-ზე ნაკლები);

— განლაგებულია სველი წერტილების ქვემოთ ან მათში გაყვანილია საკანალიზაციო მილები და მოწყობილია სანიტარიული კვანძები, რომელთა გადატანა შეუძლებელია;

— არა აქვს სანიტარიული კვანძები (შეუძლებელია მათი მოწყობა ეზოში);

განლაგებულია ისეთი სტაციონარული საინჟინრო-ტექნიკური დანადგარების-გვერდით, რომელთა ხმაურის დაყვანა სანიტარიულ ნორმებამდე შეუძლებელია;

— აქვს მოუხერხებელი შესასვლელები (გაზიფიცირებული სამზარეულოების, საბაზანოების ან სხვა დამხმარე და ბნელი სადგომების გავლით);

— ნესტიანია, აგრეთვე განლაგებულია მანსარდებში და სხვა არაკაპიტალურ მინაშენებში;

— თუ ყველა ფანჯრის წინ ორ მეტრზე ნაკლებ მანძილზე აღმართულია კედელი, რომელიც აბრკოლებს ნორმალურ განათებასა და აერაციას.

3. დასკვნებს იმის შესახებ, რომ სადგომები გამოსადეგია საცხოვრებლად და ისინი შეესაბამებიან შესახლების სანიტარიულ მოთხოვნებს, გასცემენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები (რაიონებისა და ქალაქების მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმები), მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოთხოვნით.

ქალაქ თბილისში დასკვნები იმის შესახებ, რომ სადგომები-გამოსადეგია საცხოვრებლად და ისინი შეესაბამებიან სანიტარიულ მოთხოვნებს, გაიცემა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1975 წლი ს23 ოქტომბრის № 20.26.681 გადაწყვეტილებით დადგენილი წესის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

## **73 ლუფის შესასყიდი ფასების შესახებ**

აზოგადობრივ მეურნეობაში ლუფის წარმოებისა და მისი შესყიდვის გადიდების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, მოყოლებული 1976 წლის მოსავლიდან, ლუფის შესასყიდი ფასები შემდეგი ოდენობით (მანეთი 1 კილოგრამისათვის):

— ნეჭის დასამზადებლად გამოსადეგი ლუფა	16—00
— სტანდარტის მოთხოვნების შეუსაბამო და ნეჭის დასამზადებლად გამოუსადეგარი ლუფა	5—00

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 ივლისის № 780 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 14 სექტემბერი, № 641.



## 74 სანაპიროს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის შესახებ, რომელიც შეიქმნა და წარმოადგინა საქართველოს სსრ სახ-მშენმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 აგვისტოს № 533 და 534 დადგენილებებით მოწონებული აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპლექსური რაიონული დაგეგმარების სქემებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 38 დადგენილებით მოწონებული დასავლეთი (კოლხეთის) საგეგმარებელი რეგიონის კომპლექსური რაიონული დაგეგმარების სქემის შესაბამისად.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ფარგლებში კოლხეთის საგეგმარებელ რეგიონში განლაგებული ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— განუხრელად იხელმძღვანელონ დებულებით საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის შესახებ, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმებით შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების საზღვრების ფარგლებში ტერიტორიების გამოყენებისა და მათი განაშენიანების ნაწილში;

— მიიღონ ქმედითი ზომები, რათა დროულად აღიკვეთოს რაიონული დაგეგმარების სქემების, გენერალური გეგმებისა და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების ძირითადი დებულებებისა და გადაწყვეტილებების ყოველგვარი დარღვევა;

— მიიღონ ზომები, რათა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ყველა ქალაქისა და ქალაქის ტიპის დაბის, აგრეთვე ყველა პერსპექტიული სასოფლო დასახლებული პუნქტის გენერალური გეგმების შემუშავება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების ფარგლებში.

3. დაწესდეს, რომ ნებართვას ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად შესაბამისი მიწის ნაკვეთების გამოყოფით პერსპექტიულ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად იმ სახლების ნაცვლად, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით და ცნობილია დადგენილი წესით ავარიულ მდგომარეობაში არსებულად ან სტიქიური უბედურების (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა ან მეწყერი) გამო დანგრეულად, უპერსპექტივო ან შეზღუდული განვითარების დასახლებულ პუნქტებში შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს მისცემენ ამ დადგენილებით დამტკი-

ცებული საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის თაობაზე დებულებისა და სათანადო დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შესაბამისად:

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფარგლებში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები ადგილობრივი საბჭოების წარდგენით შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებთან შეთანხმებით;

— შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებულ კოლხეთის საგეგმარებელი რეგიონის რაიონებში და ქალაქ ფოთში — მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

#### 4. დაწესდეს, რომ:

— ქალაქებში ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, ოჩამჩირეში, სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში ნებადართულია, როგორც გამოწვლით, მიწის ნაკვეთების შეცვლა ინდივიდუალური სამოსახლო ფონდის გაუდიდებლად განაშენიანების შემჭიდროების ხარჯზე გენერალური გეგმებით განსაზღვრულ ზონებში ცალკეულ მოქალაქეთათვის არსებული ზედმეტი მიწების ჩამორთმევის გზით იმ შემთხვევებში, თუ ნაკვეთები დაირღვევა მეწყრის შედეგად ან საჭირო იქნება ავარიული ანდა სტიქიური მოვლენების გამო დანგრეული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ნაცვლად ახლის მშენებლობა, ამასთან დაუშვებელია მათი აღდგენა წინანდელ ნაკვეთებზე.

5. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით ნება დაერთოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული კოლხეთის რეგიონის რაიონების მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებსა და ფოთის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს შემოიღონ მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოთა შტატებში ინდივიდუალური საბინაო ფონდისა და მშენებლობისადმი ზედამხედველობის ინსპექტორთა თანამდებობანი მათთვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხაზით დაწესებული რიცხოვნობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

#### 6. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს:

— გაუწიოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული კოლხეთის რეგიონის რაიონების მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებსა და ფოთის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ყოველმხრივი დახმარება რაიონული დაგეგმარების სქემების და ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების რეალიზაციაში, აგრეთვე ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში;

— მიიღოს ყოველგვარი ზომები საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში განლაგებული იმ ქალაქებისა და სხვა დასახლებული

პუნქტების გენერალური გეგმების შემუშავების რაც შეიძლება მალე დასრულ-  
თავრებლად, რომლებსაც ამჟამად არა აქვთ დამტკიცებული საპროექტო-საგე-  
გმარებელი დოკუმენტაცია.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1973 წლის 18 ოქტომბრის № 615 დადგენილება „საქართველოს სსრ შავი  
ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ  
პუნქტებში ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენის შესახებ“.

8. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს  
სსრ სახმშენთან ერთად შეიმუშაოს წინადადება საქართველოს კვ ცენტრალუ-  
რი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლი-  
სის № 531 დადგენილებასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965  
წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის  
შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 16 სექტემბერი, № 651.

დამტკიცებულია  
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1976 წლის 16 სექტემბრის № 651  
 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საპარტიველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში  
 მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის შესახებ

### 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის ვასწვრივ სამკილომეტრიანი სანაპირო ზოლის გამოყენებისა და განაშენიანების წესს საკურორტო მეურნეობის უპირატესი განვითარებისათვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით.

1.2. დებულება ვრცელდება სამკილომეტრიანი ზოლის ყველა იმ ტერიტორიაზე, რომლებიც აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და კოლხეთის საგეგმარებელი რეგიონის რაიონული დაგეგმარების სქემებით შეტანილია ან შეუტანელია კურორტების სანიტარიული დაცვის ზონებში, აგრეთვე სამკილომეტრიანი ზოლის ფარგლებს გარეთა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც შეტანილია სანაპირო უბნების სანიტარიული დაცვის ზონებში.

1.3. დებულება სავალდებულოა ყველა მიწათმოსარგებლისა და მენაშენისათვის, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

1.4. დაწესდეს, რომ სასოფლო დასახლებული პუნქტები იყოფა:

— პერსპექტიულ სასოფლო დასახლებულ პუნქტებად, რომლებსაც აქვთ შემდგომი განვითარების ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და ხელს არ უშლიან საკურორტო მშენებლობას, და რომლებიც შენარჩუნებულ იქნებიან გაანგარიშებული ვადის შემდეგაც; აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში დასაშვებია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა მიწის ნაკვეთების გამოყოფით და ყველა სახის საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობის მშენებლობა;

— განვითარების დამაკმაყოფილებელი პირობების მქონე შეზღუდული განვითარების სასოფლო დასახლებულ პუნქტებად, რომლებშიც გაანგარიშებულ ვადაზე დასაშვებია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა საწარმოო აუცილებლობის ფარგლებში, პირველი საჭიროების შენობა-ნაგებობათა ელემენტარული კეთილმოწყობა, მშენებლობა და რემონტი;

— უპერსპექტივო სასოფლო დასახლებულ პუნქტებად, რომლებმაც დაკარგეს სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა ან რომლებიც უქმდება საკურორტო მშენებლობასთან დაკავშირებით, სადაც ნებადართული არ არის ახალი მშენებლობა, დასაშვებია მხოლოდ საბინაო ფონდის მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ტერიტორიების ათვისების ან დასახლებათა ლიკვიდაციის ვადების შესაბამისად.



1.5 ტერიტორიები, რომლებიც გამოიყოფა ან დატოვებული იქნება რეზერვში საერთო-საკურორტო სარგებლობის საკურორტო დაწესებულებებისათვის, საკურორტო და კურორტისპირა პარკებისა და ტყე-პარკებისათვის (სანიტარიული დაცვის I და II ზონები — მკაცრი რეჟიმის ზონა და შეზღუდვის ზონა), აგრეთვე სანიტარიული დაცვის III ზონაში (მეთვალყურეობის ზონა) შემავალი ტერიტორიები განსაზღვრულია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და კოლხეთის საგეგმარებელი რეგიონის რაიონული დაგეგმარების სქემების საფუძველზე ზოლის ორგანიზაციის საპროექტო გეგმებით.

1.6. კურორტების გენერალური გეგმების შემუშავებისას სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები საბოლოოდ ზუსტდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 სექტემბრის № 654 დადგენილებით დამტკიცებული კურორტების ღებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

1.7. პასუხისმგებლობა ამ დებულების დაცვისათვის ეკისრებათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, კოლხეთის საგეგმარებელ რეგიონში შესული და შავი ზღვის ნაპირზე განლაგებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ხოლო საერთო ზედამხედველობა — საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

## 2. საერთო-საკურორტო სარგებლობის საკურორტო დაწესებულებებისათვის, საკურორტო და კურორტისპირა პარკებისა და ტყე-პარკებისათვის გამოსაყოფი და რეზერვირებული ტერიტორიების გამოყენების წესი

2.1. საერთო-საკურორტო სარგებლობის საკურორტო დაწესებულებებისათვის, საკურორტო და კურორტისპირა პარკებისა და ტყე-პარკებისათვის გამოსაყოფ ტერიტორიებზე გაანგარიშებული ვადის პირველ რიგში — 1980 წლამდე იკრძალება ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობა, გარდა საკურორტო და მასთან დაკავშირებული მშენებლობისა. ამ ტერიტორიებზე განლაგებული სასოფლო დასახლებული პუნქტები უპერსპექტივოდ ითვლება. იქ აკრძალულია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტი, აგრეთვე ახალი მშენებლობა და აღდგენა (ძველის ნაცვლად ახლის მშენებლობა). კურორტის განაშენიანებისათვის, პარკებისა და ტყე-პარკების გასაშენებლად ნაკვეთების გამოყოფისას აქ მცხოვრებ მოსახლეობას დადგენილი წესით მიეცემა ნაკვეთები ინდივიდუალური მშენებლობისათვის ან საცხოვრებელი ფართობის პერსპექტიულ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, ხოლო კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მოსამსახურეებს საკარმიდამო მიწების კომპენსაცია მიეცემათ საქართველოს სსრ მიწის კოდექსისა და შინა სამეურნეო მიწათმოწყობის პროექტების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს წინათ დაკავებული ფართობისა. ამ ტერიტორიებზე არსებულ საწარმოებს შეუძლიათ განაგრძონ თავიანთი საქმიანობა საკურორტო მშენებლობისათვის მათი ტერიტორიების გამოყოფის გაფორმებამდე, მაგრამ შენობათა გაფართოების ან აღდგენის გარეშე. გაანგარიშებული ვადის პირველი რიგის განმავლობაში უწყებებმა, რომლებსაც ექვემდებარებიან საწარმო-

მუხ. 74  
 30.01.2000

ები, უნდა ძომავადონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საჭირო ზომები ახალ ადგილზე მათი გადატანისათვის. ნებადართულია მიწების გამოყენება ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, რაიმე სხვა მრავალწლოვანი ნარგავების გაუშენებლად (კურორტების გენერალური გეგმით გათვალისწინებულის გარდა).

2.2. საერთო-საკურორტო სარგებლობის საკურორტო დაწესებულებებისათვის, საკურორტო და კურორტისპირა პარკებისა და ტყე-პარკებისათვის გამოსაყოფ ტერიტორიაზე გაანგარიშებული ვადის მეორე რიგში შეიძლება დაშვებულ იქნეს არსებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის ჩატარება, მოქმედი საწარმოების კეთილმოწყობის ღონისძიებათა განხორციელება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სამელიორაციო სისტემებისა და ნაგებობების მშენებლობა (ჩამდინარე წყლებით მორწყვისა და ფილტრაციის მინდვრების მოწყობის გარდა) იმ პირობით, თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ან მისი დავალებით საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით დადასტურებული იქნება, რომ კაპიტალური დაბანდებები ანაზღაურდება საკურორტო მშენებლობის საჭიროებისათვის ამ მიწების გაცემამდე.

2.3. საერთო-საკურორტო სარგებლობის საკურორტო დაწესებულებებისათვის, საკურორტო და კურორტისპირა პარკებისა და ტყე-პარკებისათვის გამოსაყოფ ტერიტორიებზე გაანგარიშებული ვადის მესამე რიგში სასოფლო დასახლებულ პუნქტებში ნებადართულია შეიქმნას კეთილმოწყობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მინიმალურად აუცილებელი ელემენტები და, როგორც გამონაკლისი, თითოეულ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის სახმშენისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის წარდგენით, ხოლო კოლხეთის რეგიონის სანაპირო ზონაში — რაიონული საბჭოების აღმასკომების ნებართვით საქართველოს სსრ სახმშენთან და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამმართველოსთან შეთანხმებით — ახალი საბინაო მშენებლობა, აგრეთვე სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არსებული მიწის ფონდის ფარგლებში. არსებულ საწარმოებში დასაშვებია საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობების სარემონტო სამუშაოების, მოდერნიზაციის, კეთილმოწყობის და ახალ შენობათა მშენებლობის სამუშაოების განხორციელება მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად, შემსუბუქებული კონსტრუქციების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მათს ამორტიზაციას 2000 წლამდე.

სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე დასაშვებია ერთწლოვანი კულტურების თესვა-მოყვანა, აგრეთვე იმ მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება, რომლებიც გაანგარიშებულ ვადაში ანაზღაურებენ კაპიტალურ დაბანდებებს და უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის მიღებას (სათანადო სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებით).



2.4. საერთო-საკურორტო სარგებლობის საკურორტო დაწესებულებების სათვის, საკურორტო და კურორტისპირა პარკებისა და ტყე-პარკებისათვის შორეული პერსპექტივით (2000 წლის შემდეგ) რეზერვირებულ ტერიტორიებზე განლაგებული დასახლებული პუნქტები შეზღუდული განვითარების დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენენ. იქ დასაშვებია კეთილმოწყობის სამუშაოთა განხორციელება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა როგორც ახლისა, ისევე სიძველის გამო ასაღები კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების ნაცვლად ასაგებისა, რომლებიც შემდგომშიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ დანიშნულებისამებრ ან სხვა მიზნებისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა, სამოსახლო მიწის ფონდის გაუდიდებლად. ამ ტერიტორიებზე დასაშვებია სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელება, ყველა სახის მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება.

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა განხორციელებისათვის ნებართვა გაიცემა 2.3 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2.5. კურორტების საქმიანობასთან უშუალოდ დაუკავშირებელი და ამ დებულებით გათვალისწინებელი ახალი საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა და მოქმედის გაფართოება კურორტებზე განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დაშვებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აგვისტოს № 723 დადგენილებით (მე-4 პუნქტი), აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 სექტემბრის № 654 დადგენილებით დამტკიცებული კურორტების დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად იმ პირობით, თუ შეთანხმებულ იქნება სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან.

### 3. სანიტარიული დაცვის III ზონაში შეტანილი ტერიტორიების გამოყენების წესი

3.1. კურორტების სანიტარიული დაცვის III ზონა წარმოადგენს მეთვალყურეობის ზონას, ხოლო ქალაქების გარშემო — მიზნად ისახავს 3-60-75 სამუშენებლო ნორმებისა და წესების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვას.

3.2. ამ ზონაში შეტანილი ტერიტორიებიდან, საკურორტო და საქალაქო მშენებლობის ვადების შესაბამისად, გადატანილ უნდა იქნენ საწარმოები, რომლებიც ატუჟყიანებენ გარემოს სანიტარიულად მავნე ამონაფრქვევებით ჰაერში, წყალზე და ნიადაგში, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, აგრეთვე მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების საწყობები. შეიძლება შენარჩუნებულ იქნენ დანარჩენი საწარმოები იმ პირობით, თუ განხორციელება საქვაბების რეკონსტრუქცია, რაც გამორიცხავს ატმოსფეროს გატუჟყიანებას, და შეიქმნას ახალი, სანიტარიული თვალსაზრისით უვნებელი საწარმოები, 2.5 პუნქტის შესაბამისად.

შუბ. 14/  
 ვარკეთილში  
 2025.11.19.15.33

3.3. სანიტარიული დაცვის III ზონაში მდებარე მიწები მიწათმოსარგებლეებს არ ჩამოერთმევათ. ამ უკანასკნელთ რჩევა ეძლევათ აითვისონ აღნიშნული მიწები მრავალწლოვანი, უპირატესად ტანმალალი ნარგავებისა და ტყეების გასაშენებლად. არსებულ ტყის მასივებში უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ სანიტარიული და ლანდშაფტურ-კლიმატური პირობების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. სასუქები და შხამქიმიკატები გამოიყენება მეთვალყურეობის ზონებისათვის განსაზღვრული წესების თანახმად.

3.4. III ზონაში განლაგებულ და პერსპექტიული დასახლებული პუნქტებისათვის მიკუთვნებულ სოფლებში წესდება გაძლიერებული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა. მათი განაშენიანება მიმდინარეობს 4.2 პუნქტის შესაბამისად.

3.5. სოფლებში, რომლებიც პერსპექტივით შეყვანილია ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების ფარგლებში, განაშენიანების რეჟიმი განისაზღვრება შესაბამისი გენერალური გეგმებით.

#### 4. სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრებში შეუტანელი სამკილომეტრიანი ზოლის ტერიტორიების გამოყენების წესი

4.1. სანიტარიული დაცვის ზონებში შეუტანელ უბნებზე ვრცელდება საერთო რეჟიმი, რომელიც რაიონული დაგეგმარების სქემებით დაწესებულია საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ტერიტორიისათვის.

4.2. ამ უბნებზე განლაგებული სოფლები, როგორც წესი, პერსპექტიულს მიეკუთვნებიან. იქ დასაშვებია მშენებლობა როგორც ახალი სახლებისა, ისევე სახლებისა ძველის ნაცვლად და მათი კაპიტალური რემონტი. ახალი სახლების მშენებლობა ნებადართულია ამ სოფლების დაგეგმარების პროექტებით განსაზღვრულ განაშენიანების კონცენტრაციის ზონებში.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის დადგენილების მიღებამდე დაწყებული მშენებლობა სახლებისა, რომლებიც განლაგებულია ტერიტორიებზე, სადაც საკურორტო მშენებლობა არ იწარმოებოდა 1980 წლამდე, შეიძლება ნებადართულ იქნეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებთან და ავტონომიური რესპუბლიკების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურებთან შეთანხმებით.



**75** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ალ-  
მასკოის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამ-  
მართველოს დეპუტატების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის მშრომელთა დეპუტატე-  
ბის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახუ-  
რების სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარია**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 4 ოქტომბერი, № 693.

## დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1976 წლის 4 ოქტომბრის № 693  
 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ**

1. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად და ექვემდებარება როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისევე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ქალაქის ტერიტორიაზე არის ძირითადი ორგანო, რომელიც ახორციელებს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსურ განვითარებას.

3. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

4. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნა საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, გააფართოს მომსახურების სახეობანი და ფორმები, აამაღლოს საწარმოთა ტექნიკური დონე, ყოველნაირად გააუმჯობესოს საწარმოთა პროცესთა ტექნოლოგია და მექანიზაცია, გაავრცელოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, აამაღლოს მომსახურების კულტურა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

5. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ქალაქის მთელ ტერიტორიაზე განახორციელებს:

— ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსურ განვითარებას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მოსახლეობის საყოფა-

ცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას;

— მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების დანერგვასა და ფართოდ გავრცელებას;

— მომსახურების კულტურის ამაღლებას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისადმი კონტროლს და მის შესრულებას დაწესებულ ვადებში;

— საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონის ანალიზს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, მიმღები ქსელის რაც შეიძლება რაციონალური განლაგებისა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების წინადადებათა შემუშავებას;

— კონტროლს ამონაგები თანხების შემოსავალში სწორად აღებისა და დროულად ჩაბარებისადმი, საპრეისკურანტო ფასების, შეკვეთების მიღებისა და გაცემის წესების დაცვისადმი საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირითადი დარგობრივი ჯგუფების მიხედვით;

— წინადადებათა შემუშავებას საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის რეჟიმის მოწესრიგებისათვის და კონტროლს მისი დაცვისადმი;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეკლამის ორგანიზაციას, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სარეკლამო-მხატვრულ გაფორმებას, კონფერენციების, კონკურსების, ყოფა-ცხოვრების ერთფიურებისა და დღეების ჩატარებას, მოდელების, ნაკეთობათა ახალი ნიმუშების დემონსტრაციას და ა. შ.;

— მოწინავე გამოცდილებისა და რეკომენდაციების დანერგვას მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციის საკითხებზე;

— შრომის დისციპლინის განმტკიცებას და კადრების შენარჩუნებისათვის საჭირო პირობების შექმნას, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებისა და სისტემის სრულყოფას (პირდაპირი და ქვემდებარების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით), დარგობრივ გაერთიანებებსა და სპეციალიზებულ საწარმოებში ამ საკითხების ოპტიმალური გადაწყვეტისათვის წინადადებათა შეტანას;

— კონტროლს შრომის დისციპლინის დარღვევების აღსაკვეთად ზომების მიღებისადმი და წინადადებათა შეტანას გაერთიანებებისა და სპეციალიზებული საწარმოების ცალკეულ მუშაკთა დასჯის შესახებ.

6. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო:

— შემუშავებს პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს პირდაპირი და ქვემდებარების საწარმოო ქვედანაყოფების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დავალებათა შესაბამისად, შეუთანხმებს მათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და წარადგენს დასამტკიცე-

ბლად დადგენილი წესით, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს დარგობრივ გაერთიანებათა და სპეციალიზებულ საწარმოთა ქვედანაყოფების საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების შემუშავებაში;

— დაუზღავნის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის დამტკიცებულ საგეგმო მაჩვენებლებს პირდაპირი დაქვემდებარების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს, სისტემატურად გაუწევს კონტროლს საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საწარმოს მიერ გეგმების შესრულებას, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გეგმების შესრულებას თითოეული საწარმოო ერთეულის მიხედვით;

— შეიტანს დადგენილი წესით უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა დამტკიცებულ გეგმებში საჭირო ცვლილებებს სამმართველოსათვის დაწესებულ საგეგმო დავალებათა ფარგლებში;

— განსაზღვრავს საქვეუწყებო საწარმოთა მოთხოვნილებებს, მიიღებს და გაანაწილებს მომხმარებელთა მიხედვით გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, კონტროლს გაუწევს ფონდების დროულად რეალიზაციას და მათს გამოყენებას დანიშნულებისამებრ;

— ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო ბაზის კომპლექსური განვითარების მიზნით წარუდგენს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წინადადებებს ქალაქის განვითარების პერსპექტიული გეგმის გათვალისწინებით საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების რაციონალური განლაგებისა და მშენებლობის შესახებ;

— დაუდებს დადგენილი წესით მოიჯარეებს ხელშეკრულებებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობის, რეკონსტრუქციის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის შესახებ, უზრუნველყოფს მათს განხორციელებას როგორც სამეურნეო, ისე საიჯარო წესით, კონტროლს გაუწევს მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის შესრულებას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ხარისხს, ობიექტების დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ და მიიღებს ზომებს საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ვადების შემცირებისათვის;

— მიიღებს ზომებს ეკონომიკური მუშაობის, შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისათვის საწარმოებში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის, მომსახურების თვითღირებულების შემცირებისათვის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებისათვის;

— ხელს შეუწყობს საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგობრივი ჯგუფების მიხედვით ხარისხის მართვის სისტემების დანერგვას და განახორციელებს კონტროლს მათი მოქმედებისადმი, მოაწყობს მუშაობას სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების დაცვის, დამტკიცებული ნიმუშებისადმი ნაკეთობათა შესაბამისობის შესამოწმებლად;



— მოაწყობს მუშაობას ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის, საწარმოების სიმძლავრეთა განვითარებისათვის, მათი გამსხვილებისათვის, ახალი ტექნიკით აღჭურვისათვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის;

— განაგებს თავის ფინანსურ რესურსებს, უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას სახსრების ხარჯვაში და მათს მიზნობრივ გამოყენებას, აგრეთვე დროულად ანგარიშსწორებას ბანკებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარებებთან, ზემდგომ ორგანიზაციასთან, მუშა-მოსამსახურეებთან ხელფასის და იმ ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც საფინანსო გეგმიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობენ;

— ხელმძღვანელობს გაუწევს მუშაობას საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის, განახორციელებს კონტროლს მისი სწორი ორგანიზაციისადმი, გააანალიზებს ბალანსებს და წარუდგენს დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებს კრებისით საბუღალტრო ანგარიშებს პირდაპირი დაქვემდებარების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით;

— საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე განიხილავს დაქვემდებარებულ საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მიიღებს საჭირო ზომებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;

— წარუდგენს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს კრებისით ანგარიშებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის ყველა საწარმოო ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების შესახებ;

— შეიტანს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში წინადადებებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის რაციონალური რეჟიმების დაწესების შესახებ, მიიღებს ზომებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მომსახურების კულტურის ასამაღლებლად მოსახლეობის მომსახურების სრულყოფისა და პროგრესული ფორმების დანერგვის საფუძველზე, განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებებს მოქალაქეთა საჩივრებისა და წინადადებების გამო;

— განახორციელებს შინასაუწყებო კონტროლს და ჩაატარებს დადგენილი წესით პირდაპირი დაქვემდებარების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, ხოლო დარგობრივი გაერთიანებებისა და სპეციალიზებული საწარმოების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა შემოწმებას — ამ დებულებით მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად;

— ხელმძღვანელობს გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმეს, ყოველმხრივ დაეხმარება გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში;

— მოაწყობს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებას დაწესე-

ბული გეგმების მილიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რენტაბელობის გადიდებისა და დაგროვების გეგმების შესრულებისათვის, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას;

— განუწყვეტლივ სრულყოფს მართვის სტრუქტურას, მიაღწევს სამმართველო ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას, შექმნის მაღალნაყოფიერი შრომის პირობებს, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების, შრომის დაცვის წესების, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, შრომის დისციპლინის დაცვას;

— დადგენილი წესით მიიღებს და დაითხოვს სამმართველოს აპარატის მუშაკებსა და პირდაპირი დაქვემდებარების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელ მუშაკებს, შეარჩევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული დარგობრივი გაერთიანებებისა და სპეციალიზებული საწარმოების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელ კადრებს, რათა შემდგომ წარუდგინოს ისინი შესაბამის საწარმოო გაერთიანებებსა და სპეციალიზებულ საწარმოებს;

— ხელს შეუწყობს დარგობრივ გაერთიანებებსა და სპეციალიზებულ საწარმოებს მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების სპეციალისტთა და მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების შერჩევის, აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

— სისტემატურად გააუმჯობესებს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

7. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით ნიშნავს სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს და ათავისუფლებს მას მოვალეობის შესრულებისაგან, რასაც შემდგომ დაამტკიცებს საქალაქო საბჭოს მორიგი სესია.

8. სამმართველოს უფროსი მოქმედებს სამმართველოს სახელით სპეციალურ უფლებამოსილებათა გარეშე, ითვლება მის წარმომადგენლად ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს სამმართველოს ქონებასა და სახსრებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

9. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

— სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განკარგულებათა, სახელმწიფო მმართველობის შემდგომი ორგანოების ბრძანებულებათა, დადგენილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად;



— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს და გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან პირდაპირი დაქვემდებარების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაკები, გამოიყენოს წახალისებისა და დასჯის ღონისძიებანი;

— გასცეს დარგობრივი გაერთიანებებისა და სპეციალიზებული საწარმოების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საქმიანობასთან დაკავშირებული მითითებანი ამ დებულებით მისთვის დაკისრებულ უფლებათა ფარგლებში;

— შეიტანოს წინადადებანი საწარმოო გაერთიანებების, სპეციალიზებული საწარმოების მიერ თავიანთი ქვედანაყოფების მუშაკთა მიმართ წახალისების ან დასჯის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ;

— შეასრულოს ბანკში ყველა საჭირო ოპერაცია, კრედიტის ოპერაციების ჩათვლით;

— წარადგინოს სარჩელები სასამართლო ორგანოებსა და არბიტრაჟში;

— მისცეს სამმართველოს სახელით უფლებამოსილებანი და გასცეს მინდობილობანი სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებათა დასადებად, სამმართველოსათვის საჭირო მოწყობილობისა და მასალების შესაძენად, აუცილებელ სამუშაოთა შესასრულებლად, შენობის იჯარით ასადებად, მომსახურების განსახორციელებლად.

10. სამმართველოს უფროსი სისტემატურად იწვევს საწარმოო თათბირებს პირდაპირი დაქვემდებარების ქვედანაყოფთა, დარგობრივ გაერთიანებათა და სპეციალიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელებთან ამ დებულების შესაბამისად მისთვის დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტის საკითხებზე.

11. სამმართველოს უფროსის მოადგილესა და მთავარ ბუღალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი სამმართველოს უფროსის წარდგენით.

12. სამმართველოს უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს სამმართველოს სახელით, ითვლება სამმართველოს წარმომადგენლად სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლია დადოს ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე მისცეს მინდობილობანი სამმართველოს მუშაკებს.

13. წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, ჩეკებს, ვალდებულებებსა და სხვა ფულად დოკუმენტებს ხელს აწერენ სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე და მთავარი ბუღალტერი.

14. ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების გადაწყვეტის, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა განსაზღვრის მიზნით სამმართველოსთან სათათბირო ორგანოს უფლებებით იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სამმართველოს უფროსი, მისი მთავარი ინჟინერი, პირდაპირი დაქვემდებარების სტრუქტურულ ქვედანაყოფთა, დარგობრივ გაერთიანებათა და სპეციალიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარეა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

საბჭოს რეკომენდაციები ფორმდება სამმართველოს უფროსის ბრძანებებით და სავალდებულოა შესასრულებლად ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საწარმოსათვის.

15. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

## 76 ბუნების ან კულტურის ძეგლებად წყლის ორგანიზაციის ძეგლებად ცნობის წესის შესახებ

საქართველოს სსრ წყლის კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ნაკრძალად გამოუცხადებელი იშვიათი და ღირსშესანიშნავი წყლის ობიექტები (მდინარეები, ტბები ან მათი ნაწილები, ზღვის უბნები, წყაროები, ჩანჩქერები, გეიზერები და სხვები), რომლებიც ცალკეული ზონებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული მხარეების ბუნებრივი პირობების დამახასიათებელ ან უნიკალურ მაგალითებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვანია მეცნიერული, კულტურულ-შემეცნებითი და გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით, ცნობილ იქნება ბუნების ძეგლებად.

ბუნების ძეგლებად ცნობილი წყლის ობიექტები, როგორც წესი, დასაცავად გადაეცემათ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

2. ბუნების ძეგლებად წყლის ობიექტებს ცნობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარდგენით.

გადაწყვეტილებაში ბუნების ძეგლად წყლის ობიექტის ცნობის შესახებ გათვალისწინებული იქნება წყლის ობიექტით სარგებლობის ძირითადი პირობები, აღინიშნება დაწესებულებები ან ორგანიზაციები, რომლებსაც გადაეცემათ ისინი დასაცავად, აგრეთვე მიღებული გადაწყვეტილების მოსახლეობისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის გაცნობის წესი.

დაევალთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქარ-



თველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაკრძალად გამოუცხადებელი იმ წყლის ობიექტების (მდინარეების, ტბების ან მათი ნაწილების, ზღვის უბნების, წყაროების, ჩანჩქერებისა და სხვ.) ნუსხა, რომლებიც ცნობილ უნდა იქნეს ბუნების ძეგლებად.

3. ბუნების ძეგლებად ცნობილ წყლის ობიექტებს დასაცავად გადასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შესაბამისად ტერიტორიული განლაგების მიხედვით, როგორც წესი, იმ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ტერიტორიაზეც ან სარგებლობაშიც იმყოფება ეს ობიექტები.

თუ წყლის ობიექტი რამდენიმე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან სარგებლობაშია, ის დასაცავად შეიძლება გადაეცეს ერთ ან რამდენიმე მათგანს, ამასთან ზუსტად უნდა აღინიშნოს დასაცავად გადასაცემი უბნები.

დაწესდეს, რომ აღნიშნულ საწარმოებს, დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა ბუნების ძეგლებად ცნობილი წყლის ობიექტების დაცვა-შენარჩუნებისათვის.

დასაცავად გადაცემა ფორმდება დაცვის ვალდებულებით, რომელსაც გასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი წყლის ობიექტით სარგებლობის ვადით. თუ წყალსარგებლობის ვადა დაწესებული არ არის, დაცვის ვალდებულება გაიცემა ვადის აღუნიშნავად და უვადოა.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დაცვის ვალდებულების ფორმა.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს:

— განახორციელონ კონტროლი იმისადმი, რომ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაიცვან ბუნების ძეგლებად ცნობილი წყლის ობიექტებით სარგებლობის დადგენილი წესები;

— უზრუნველყონ იმ წყლის ობიექტების დაცვა, რომლებიც ცნობილია ბუნების ძეგლებად, მაგრამ გადაცემული არ არის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დასაცავად;

— დადგენილი წესით მიიზიდონ ბუნების ძეგლებად ცნობილი წყლის ობიექტების დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად ბუნების დაცვის საზოგადოება და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

— ბუნების ძეგლებად ცნობილ ობიექტებს აღრიცხავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავისი დებულების შესაბამისად;

— წყლის ობიექტები კულტურის ძეგლებად ცნობილ იქნება იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის № 3898 დადგენილებით „კულტურის ძეგლების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1948 წ. № 6, მუხ. 81), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 19 ნოემბრის № 1365 დადგენილებით „კულტურის ძეგლების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილებით „ბუნების ძეგლებისა და ობიექტების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ზ. პატარაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მოადგილე ბ. ხუნწარია.

ქ. თბილისი, 1976 წ. 4 ოქტომბერი, № 694.

**77** სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო და სხვა საშუალოთა წარმოების დროს მიწების რეკონსტრუქციის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები სასარგებლო წიაღისეულსა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო და ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოთა წარმოების დროს არ ასრულებენ საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მოთხოვნებს მიწების რეკულტივაციის ჩატარების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებისა და მიწების რეკულტივაციისათვის ან ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებზე დასადგებად მისი გამოყენების შესახებ. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ხშირად ნადგურდება, ხოლო მიწის მნიშვნელოვანი ფართობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოფლის, სატყეო ან თევზის მეურნეობაში, გამოუსადეგარი ხდება. ასეთი მიწები ბევრ შემთხვევაში გარე-



მოს გაკუჭყიანების წყაროს წარმოადგენს და აუარესებს მოსახლეობის ცხოვრების სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს.

სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს მიწების რეკულტივაციის უზრუნველყოფის, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაციონალური გამოყენების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის № 407 დადგენილების შესასრულებლად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 24 ოქტომბრის № 639 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის № 407 დადგენილებით:

ა) დაწესდა, რომ:

— საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოებს, აწარმოებენ გეოლოგიურ-საზვერ, საძიებო, სამშენებლო და მათ სარგებლობაში გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ან ტყის სავარგულებზე ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, მოვალენი არიან ამ მიწებზე საჭიროების განვლის შემდეგ თავიანთ ხარჯზე მოიყვანონ ისინი სოფლის, სატყეო ან თევზის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში, ხოლო სხვა მიწებზე აღნიშნულ სამუშაოთა წარმოებისას — მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო ან სხვა მშენებლობას, ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, აგრეთვე აწარმოებენ ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, მოვალენი არიან მოხსნან, შეინახონ და დადონ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სარეკულტივაციო მიწებზე, ხოლო ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში — ნაკლებპროდუქტიულ სავარგულეებზეც. ამასთან ერთ ჰექტარ ნაკლებპროდუქტიულ სავარგულეებზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების ერთი ჰექტარის ათვისების ღირებულების იმ ნორმატივებს, რაც დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

სოფლის ან სატყეო მეურნეობაში სარეკულტივაციო მიწების გამოსაყენებლად მათი ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებებს (სასუქების შეტანა, გაკირიანება და სხვა სამუშაოები) ახორციელებენ მიწათმოსარგებლენი, რომელთაც გადაეცემათ (უბრუნდებათ) მიწები, ამ მიწებზე ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებული სამუშაოების მწარმოებელ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხარჯზე;

— იმ მიწის ნაკვეთების რეკულტივაცია, რომლებითაც სარგებლობა შეწყდა 1969 წლის 1 ივლისამდე, ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე სახალხო-სამეურნეო გეგმებში გათვალისწინებული მიწების რეკულტივაციის სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად.



აღნიშნული სამუშაოები სრულდება სსრ კავშირის მელიორაციისა და მეურნეობის სამინისტროს და „საკსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებით;

— იმ მიწების რეკულტივაციას, რომელთა ნიადაგის საფარი მიწათმოსარგებლებმა დაარღვიეს შინასამეურნეო საჭიროებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების დროს, ახორციელებენ ისინი თავიანთ ხარჯზე;

— სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოყოფა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დასამუშავებლად და ტორფის მოსაპოვებლად მოქმედი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხდება გამოსაყოფ მიწის ნაკვეთზე შესაბამის მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით, როგორც წესი, მას შემდეგ, რაც ისინი განახორციელებენ ადრე გამოყოფილი იმ მიწის ნაკვეთების რეკულტივაციას, რომელთა საჭიროებამ განვლო, და ამ ნაკვეთებს გადასცემენ შესაბამის მიწათმოსარგებლებებს ან ნიადაგის ნაყოფიერ ფენას დადებენ ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებზე. აღნიშნული სამუშაოები ხორციელდება დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტებისა და ამ სამუშაოთა განხორციელების კალენდარული გეგმების თანახმად;

— მიწების რეკულტივაციის, სარეკულტივაციო მიწების ნაყოფიერების აღდგენის, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, მისი შენახვისა და სარეკულტივაციო მიწებზე ან ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებზე დადების დანახარჯები განეკუთვნება:

სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების დროს — საწარმოს პროდუქციის თვითღირებულებას;

საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის დროს — ამ ობიექტების ღირებულებას;

გეოლოგიურ-საზვერ, გეოლოგიურ-ასაგეგმავ, საძიებო, გეოდეზიურ და სხვა სამუშაოთა განხორციელების დროს — ამ სამუშაოთა ღირებულებას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დაევალით შეიმუშაონ სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით და დამტკიცონ ინსტრუქცია მიწების რეკულტივაციის სამუშაოთა დაფინანსების წესის შესახებ, ამასთან გაითვალისწინონ მასში ამ მიზნით სახსრების წარმოქმნა იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ სამუშაოთა დამთავრებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიების შესრულების შესაძლებლობას;

— იმ სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ტყის სავარგულების რეკულტივაცია, რომელთა ნიადაგის საფარი დაირღვა სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო ან სხვა სამუშაოთა წარმოების დროს, ხდება აღნიშნული სამუშაოების განხორციელებულ სამინისტროთა და უწყებათა საპროექტო ორგანიზაციების მიერ შემუ-



შევებული პროექტების საფუძველზე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით სახელმწიფო კონტროლზე დასაყრდენად, ხოლო ნაკლებპროდუქტიული სავარგულების გაუმჯობესება ნიადაგის მოხსნილი ნაყოფიერი ფენით — პროექტების მიხედვით, რომელთაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტები შეიმუშავებენ აღნიშნულ სამინისტროთა და უწყებათა შესაბამის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე;

— მიწის ნაკვეთები, რომლებითაც სარგებლობა შეწყდა 1969 წლის 1 ივლისამდე, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში მოიყვანება მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტების მიერ შეიმუშავებული პროექტების მიხედვით, ხოლო სატყეო ან თევზის მეურნეობაში და სხვა მიზნით გამოსაყენებლად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს ან შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების საპროექტო ორგანიზაციათა მიერ შეიმუშავებული პროექტების მიხედვით;

— თუ მიწების გამოყოფის პირობების მიხედვით მოქმედი წესის შესაბამისად საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება მოვალეა განახორციელოს ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დადების სამუშაოები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 აგვისტოს № 636 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგები არ ანაზღაურდება (ანგარიშში მიიღება ნაკლებპროდუქტიული სავარგულების ფართობები, რომლებზეც განხორციელდება აღნიშნული სამუშაოები);

ბ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმოწყობა სამსახურს დამატებით დაეკისრა სახელმწიფო კონტროლის განხორციელება იმისადმი, რომ ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა განხორციელებელმა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა რაციონალურად გამოიყენონ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 14 მაისის № 325 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ., 1970 წ., № 9, მუხ. 71) დამტკიცებული მიწების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის დებულების მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„თ) კონტროლს უწევს ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა განხორციელებელი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, შენახვასა და რაციონალურად გამოყენებას, აგრეთვე სასარგებლო წილისეულის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-სახვერ, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს დარღვეული მიწების დროულად და სრულფასოვნად რეკულტივაციას“;



გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის მწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალით შეიტანონ სასარგებლო წიაღისეულითა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს დარღვეული მიწების აღდგენის ძირითად დებულებებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის სახმშენს დაევალი განსაზღვროს წესი, რომლითაც ნიადაგი: საფარის დარღვევასთან დაკავშირებული საწარმოთა მშენებლობის (რეკონსტრუქციის, გაფართოების) პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიწების რეკულტივაციისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად უზრუნველყოს იმ მიწების ინვენტარიზაციის ჩატარება, რომელთა ნიადაგის საფარი დაირღვა სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა შესრულების დროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 24 ოქტომბრის № 639 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, მიწების რეკულტივაციის შესაბამის ღონისძიებათა შემუშავება ინვენტარიზაციის მონაცემების საფუძველზე და მათი განხორციელება დადგენილი წესით.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის № 407 დადგენილების თანახმად იმ მიწის ნაკვეთების რეკულტივაცია, რომლებითაც სარგებლობა შეწყდა 1969 წლის 1 ივლისამდე, ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, მოყოლებული 1977 წლიდან, გაითვალისწინონ ყოველწლიურად სახალხო-სამეურნეო გეგმებში ასეთი მიწების რეკულტივაციის სამუშაოები;

— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად, მოყოლებული 1977 წლიდან, გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის ასიგნებათა გამოყოფა აღნიშნულ სამუშაოთა განსახორციელებლად საოპერაციო ხარჯებისათვის იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

— ორი თვის ვადაში შეიმუშაონ სოფლის, სატყეო ან თევზის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში იმ მიწების მოყვანის პირობე-



ბი, რომელთა ნიადაგის საფარი დაირღვა სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს, აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისას მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენების წესი, და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დებულება შესაბამის მიწათმოსარგებლეთათვის რეკულტივირებული მიწების გადაცემის წესის შესახებ.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო სავეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს მიწების რეკულტივაციის, ნიადაგის ფენის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების სამუშაოთა მოცულობანი, რომელთაც საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები გეგმავენ.

6. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველომ იმ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დეტალური საზვერი სამუშაოების განხორციელებისას, რომელთა დამუშავება დაკავშირებულია მიწის ზედაპირის დარღვევასთან, უზრუნველყოს გადახსნილი და შემცველი ქანების ფიზიკურ-მექანიკურ და ქიმიურ თვისებათა გამოკვლევა და შესაბამისი მონაცემების გადაცემა დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის მიწების რეკულტივაციის მოთხოვნების გათვალისწინებით საბადოთა დამუშავების პროექტების შესადგენად.

7. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმომწყობ სამსახურს დამატებით დაეკისრა სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა განხორციელებელი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაციონალურად გამოყენებისადმი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღოს ზომები თავისი საქვეუწყებო მიწათმომწყობი სამსახურის განსამტკიცებლად.

8. სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების მიერ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაციონალურად გამოყენების სამუშაოთა შესრულებისადმი, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, საძიებო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს დარღვეული მიწების რეკულტივაციის დროულად და ხარისხიანად ჩატარებისადმი საერთო კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს და დაევალოს მას პერიოდულად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების შედეგების შესახებ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეო-



ბით მიიღონ საჭირო ზომები მიწების რეკულტივაციის ხაზით გამოკვლევების  
 ვასაუმჯობესებლად და დარღვეული მიწების აღდგენის ყველაზე სრულყოფი-  
 ლი, პრაქტიკულად შემოწმებული მეთოდების წარმოებაში დანერგვის დასაჩქა-  
 რებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნჯარიძე**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 7 ოქტომბერი, № 703.

## 78 მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების საშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის შემდგომი  
 განმტკიცების ღონისძიებებისა და მხატვართა შემოქმედებითი შრომის პირო-  
 ბების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974  
 წლის 21 ივნისის № 341 დადგენილების შესაბამისად ნება დაერთოს საქარ-  
 თველოს სსრ სამხატვრო ფონდს შექმნას მხატვართა შემოქმედებითი სახელოს-  
 ნოების სამშენებლო კოოპერატივი და ააშენოს ეს სახელოსნოები საქართვე-  
 ლოს სსრ სახმშენთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით. ამასთან, ამ სახე-  
 ლოსნოების ფართობი და მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს სახვითი ხელოვნე-  
 ბის დარგებისათვის დაწესებულ ნორმებს.

2. დამტკიცდეს მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო  
 კოოპერატივის თანდართული სანიმუშო წესდება.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სახელოსნოების მშენებლობისა-  
 თვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებებს გამოყოფს სსრ კავშირის მხატვართა  
 კავშირი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 8 ოქტომბერი, № 705.



## სანიმუშო წესდება

### მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივისა

1. მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივი ეწყობა საქართველოს მხატვართა კავშირთან ან მის განყოფილებებთან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა გაერთიანება სულ ცოტა 12 მოქალაქისა, ხოლო ქ. თბილისში სულ ცოტა 25 მოქალაქისა. მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივში გაერთიანების მსურველი მხატვრები ამ საკითხს დააყენებენ საქართველოს მხატვართა კავშირის ან მისი განყოფილებების წინაშე, რომლებიც პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად მოიწვევენ იმ მხატვართა საერთო კრებას, ვისაც კოოპერატივის წევრად შესვლა სურს.

როდესაც კოოპერატივში შესვლის მსურველთა რიცხვი აკმაყოფილებს ამ წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად მხატვართა კავშირი აღძრავს საკითხს შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის წინაშე კოოპერატივის შექმნის ადგილის მიხედვით.

3. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ და დაამტკიცებს კოოპერატივში შესვლის მსურველთა სიას.

მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის შექმნის შესახებ, მოიწვევა კოოპერატივში შესვლის მსურველთა საერთო კრება წესდების განსახილველად და დასამტკიცებლად.

კრების მიერ მიღებული წესდება წარედგინება სარეგისტრაციოდ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატივის შექმნის შესახებ.

წესდების რეგისტრაციის შემდეგ გაიმართება კოოპერატივის წევრთა საერთო კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

4. კოოპერატივის ენიჭება იურიდიული პირის უფლება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომში წესდების რეგისტრაციის დღიდან.

კოოპერატივი სარგებლობს ბეჭდით, რომელზედაც აღნიშნულია მისი სახელწოდება.

5. კოოპერატივის წევრთა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომი.

### კოოპერატივის მიზანი და უფლება-მოვალეობანი

6. მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივი იქმნება იმ მიზნით, რომ კოოპერატივის წევრებს შეუქმნას მუშაობისათვის საჭირო ყველა პირობა, აუშენოს და დააკმაყოფილოს ისინი შემოქმედებითი სახელოსნოებით, აგრეთვე ამ სახელოსნოების შემდგომი ექსპლუატაციისა და მართვის მიზნით.

7. კოოპერატივის წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ადგილას და საჭიროებენ შემოქმედებითს სახელოსნოს.

სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ იყვნენ კოოპერატივის წევრები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობაში.

8. კოოპერატივის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ასაშენებელ სახელოსნოთა რაოდენობას.

9. კოოპერატივი ახორციელებს აგებული შემოქმედებითი სახელოსნოების ექსპლუატაციას კოოპერატიული საკუთრების უფლებით და კოოპერატივის საკუთარი სახსრების ხარჯზე, სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

10. კოოპერატივი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს სარგებლობაში მძწის ნაკვეთები შემოქმედებითი სახელოსნოების ასაგებად;

ბ) განახორციელოს მშენებლობა საიჯარო წესით, საკუთარი სახსრებით, რაც კოოპერატივმა ბანკში უნდა შეიტანოს მშენებლობის სრული ღირებულების ოდენობით;

გ) დადოს მშენებელ ორგანიზაციებთან ხელშეკრულება შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობისათვის, განახორციელოს ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოებისათვის, აგრეთვე დადოს შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებანი ან გადასცეს დამკვეთის ფუნქციები საქართველოს მხატვართა კავშირის შესაბამის განყოფილებას (სამმართველოს);

დ) მონაწილეობა მიიღოს მშენებლობადამთავრებული კოოპერატიული სამხატვრო სახელოსნოების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიის მუშაობაში.

11. კოოპერატივი შემოქმედებითი სახელოსნოს მშენებლობას ახორციელებს საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებული ტიპობრივი პროექტებით, ამასთან სავალდებულოა ტიპობრივი კონსტრუქციული ელემენტების გამოყენება.

12. შემოქმედებითი სახელოსნოს მშენებლობის განხორციელება კოოპერატივს შეუძლია მას შემდეგ, რაც ბანკში შეტანილ იქნება მშენებლობის სრული ღირებულება, დადგენილი წესით დამტკიცებულია მშენებლობის პროექტი და მიღებულია ნებართვა მშენებლობის შესახებ.

13. კოოპერატივის მიერ აგებული სახელოსნო ნაგებობანი ეკუთვნის მას კოოპერაციული საკუთრების უფლებით და არ შეიძლება გაიყიდოს ან გადაეცეს არც მთლიანად და არც ნაწილობრივ ორგანიზაციებს ან ცალკეულ პირებს, გარდა კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს განხორციელებული გადაცემისა.

შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა სახელოსნოების მოვლა-პატრონობისათვის და ასრულებს ყველა სათანადო წესსა და დებულებას.

კოოპერატივი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მთელი მისი კუთვნილი ქონებით.

მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივი ვალდებულია დააზღვიოს აგებული შენობა.

### კოოპერატივის სახსრები

14. კოოპერატივის სახსრები შედგება:

ა) კოოპერატივის წევრთა შესასვლელი შესატანისაგან;

ბ) საპაიო შესატანისაგან;

გ) სახელოსნოს შენახვისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო შესატანისაგან;

დ) სხვა შემოსავლისაგან.

შესასვლელი შესატანების ოდენობას დააწესებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება საპაიო შესატანის პროპორციულად.

კოოპერატივის მთელი საკუთარი სახსრები შეტანილ უნდა იქნეს ბანკის დაწესებულებაში კოოპერატივის ანგარიშზე.

### კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი

15. კოოპერატივის თითოეულ წევრს მიეცემა მუდმივ სარგებლობაში განსაზღვრული ფართობის სახელოსნო მისი საპაიო შესატანისა და ფართობის დაწესებული ნორმის შესაბამისად, რაზედაც სათანადო ორდერს გასცემს დამტკიცებულ სიის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივი.

16. შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება არა აქვს ერთდროულად იყოს მეორე შემოქმედებითი სახელოსნოების კოოპერატივის წევრი, ან ჰქონდეს სხვა სახელოსნო.

17. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

ა) ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით, გაიღდეს კოოპერატივიდან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც სახელოსნოს მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ და სახელოსნოს ექსპლუატაციის პერიოდში;

ბ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით გადასცეს თავისი პაი და სახელოსნო თავისი ოჯახის წევრს იმ შემთხვევაში, თუ იგი მხატვართა კავშირის წევრია;



გ) საერთო კრების ნებართვით გადაცვალის მის მიერ დაკავებულ შემოქმედებითი სახელოსნო სხვა შემოქმედებითს კოოპერატიულ სახელოსნოზე იმ პირობით, რომ კოოპერატივის წევრად იქნეს მიღებული ის პირი, რომელიც არის მხატვართა კავშირის წევრი და გადაუცვალა-სახელოსნო და შეიტანა პაი შემოქმედებითი სახელოსნოს საბალანსო ღირებულების ოდენობით.

კოოპერატივის შემოქმედებითი სახელოსნოს გადაცვლის გაფორმება ხდება იმ წესით, რაც დადგენილია საცხოვრებელი ბინების გადაცვლისათვის სახელმწიფო ფონდის სახლებში.

18. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან იმ შემთხვევაში:

- ა) თუ არ დაემორჩილება წესდებას,
- ბ) თუ არ შეასრულებს საერთო კრების მიერ დაწესებულ ვალდებულებებს,
- გ) თუ სისტემატურად ანგრევს ან აფუჭებს სახელოსნოს,
- დ) თუ შემოქმედებითს სახელოსნოს იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.
- ე) თუ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა სხვა დასახლებულ პუნქტში.

კოოპერატივიდან გარიცხული წევრი კარგავს სახელოსნოთი სარგებლობის უფლებას.

19. კოოპერატივიდან გარიცხულ წევრს უბრუნდება მის მიერ შეტანილი პაი მხოლოდ მე-18 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გახვალისწინებულ შემთხვევებში. „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში კოოპერატივის ყოველ წევრს პაი დაუბრუნდება მის მიერ დაზიანებული სახელოსნოს აღსადგენად საჭირო თანხის გამოკლებით. განთავისუფლებული სახელოსნოს ფართობი საერთო კრების დადგენილებით მიეცემა კოოპერატივში მის მაგივრად მიღებულ ახალ წევრს.

კოოპერატივის ახლად მიღებული წევრის საპაიო შესატანის ოდენობა არ შეიძლება იყოს სახელოსნოს საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები.

კოოპერატივიდან გასულ წევრს უბრუნდება მისი პაი.

20. კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის პაი გადადის მის მემკვიდრეებზე კანონით დადგენილი წესით. ამასთანავე, თუ კოოპერატივის გარდაცვლილი მემკვიდრის ოჯახის რომელიმე წევრი ამავე დროს არის მხატვართა კავშირის წევრი, მას აქვს კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება.

21. კოოპერატივიდან გასული წევრის ნაცვლად კოოპერატივის წევრად მიღებული მოქალაქე პასუხისმგებელია გასული წევრის ვალდებულებებზე კოოპერატივის წინაშე.

22. კოოპერატივის წევრი ვალდებულია გაიღოს სახელოსნოს მმართველობისა და ექსპლუატაციის ხარჯები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ.

#### კოოპერატივის მართვის ორგანოები

23. კოოპერატივის მართვის ორგანოებია: კოოპერატივის წევრთა საერთო კრება და კოოპერატივის გამგეობა.



24. საერთო კრება არის კოოპერატივის უმაღლესი ორგანო და მის კომპეტენციაში შედის:

ა) კოოპერატივის წევრად მიღება და კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა;

ბ) სახელოსნოების მშენებლობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის, აგრეთვე წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

გ) სახელოსნოების განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის, აგრეთვე ნებართვის მიცემა, რომ კოოპერატივის წევრმა თავისი პაი გადასცეს თავისი ოჯახის წევრს, რომელიც არის მხატვართა კავშირის წევრი და ამ საკითხზე არსებობს მხატვართა კავშირის სათანადო ორგანოს ხელმძღვანელობის შუამდგომლობა;

დ) შესასვლელი და საბაიო, აგრეთვე სახელოსნოს შენობის შენახვისა და ექსპლუატაციისათვის კოოპერატივის წევრთა შესატანების ოდენობის დადგენა;

ე) კოოპერატივის წევრთა შესატანის ოდენობის დადგენა სახელოსნოების შენახვისა და საექსპლუატაციო ხარჯებისათვის;

ვ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა;

ზ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოქმედებაზე შემოსული საჩივრების განხილვა;

თ) კოოპერატივის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

25. გამგეობა საერთო კრებას მოიწვევს წელიწადში ორჯერ მაინც, რიგგარეშე საერთო კრებას გამგეობა მოიწვევს ექვსი დღის ვადაში, კოოპერატივის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება.

26. საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კოოპერატივის წევრთა ან კოოპერატივის ნდობით აღჭურვილ პირთა საერთო რიცხვის ორი მესამედი მაინც.

საერთო კრება გადაწყვეტილებას მიიღებს კოოპერატივის დამსწრე წევრთა ან ნდობით აღჭურვილ პირთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

საერთო კრებები, რომლებიც მოწვეულია ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორცაა შესასვლელი და საბაიო შესატანისა და სპეციალური ფონდების ოდენობა, სახელოსნოს ექსპლუატაციის წესი, შესატანების ოდენობა სახელოსნოს შენახვისა და ექსპლუატაციისათვის, კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა, კოოპერატივის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, თუ მას ესწრება კოოპერატივის წევრთა საერთო რიცხვის ოთხი მეხუთედი. ამ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების სამი მეოთხედის უმრავლესობით.

27. კოოპერატივის საერთო კრება ირჩევს გამგეობას სულ ცოტა სამი წევრის რაოდენობით ორი წლის ვადით.

გამგეობა თავის შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს (მოადგილეებს) და ხაზინადარს.

28. გამგეობა არის კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ანგარიშს აბარებს საერთო კრებას. გამგეობის მოვალეობაში შედის:

- ა) საერთო კრების მიერ დაწესებული შესასვლელი და საპაიო შესატანების მიღება კოოპერატივის წევრებისაგან;
  - ბ) გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების შედგენა;
  - გ) სახელოსნოების მეურნეობის მართვა;
  - დ) სახელოსნოების მომსახურებისათვის მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება და მათი დათხოვნა;
  - ე) კოოპერატივის წარმომადგენლობა ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;
  - ვ) კოოპერატივის წევრთა სიის, კოოპერატივის ანგარიშებისა და საქმის წარმოება;
- ზ) ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებათა შესრულება.

29. კოოპერატივის გამგეობას უფლება აქვს განაგოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული საფინანსო და მშენებლობის გეგმების შესაბამისად მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოების სამშენებლო კოოპერატივის ნაღდი სახსრები, რომლებიც მის მიმდინარე ანგარიშზე ინახება ბანკში.

30. სარევიზიო კომისიას სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით აირჩევს წევრთა საერთო კრება ორი წლის ვადით და იგი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც კონტროლსა და რევიზიას უწევს გამგეობის საქმიანობას.

სარევიზიო კომისია თავის შემადგენლობიდან აირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისიის მოვალეობას შეადგენს:

- ა) კოოპერატივის გამგეობის მთელი საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის გეგმიანი რევიზია ნ თვეში ერთხელ მაინც. რევიზიის შედეგების მოხსენება საერთო კრებისათვის;
- ბ) საბუღალტრო ჩანაწერების, ხარჯთაღრიცხვების, საგასავლო ფულადი დოკუმენტების, საანგარიშო და დოკუმენტური მონაცემებისა და სხვათა რევიზია და შემოწმება;
- გ) რევიზიისა და შემოწმების დროს გამოვლინებული მოქმედი კანონმდებლობის, კოოპერატივის წესდების დარღვევის, კოოპერატივის გამგეობის ან კოოპერატივის ცალკეულ წევრთა უმართებულო მოქმედების შეტყობინება კოოპერატივის საერთო კრებისა და მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოს აღმასკომისისათვის, რომელიც ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს კოოპერატივის საქმიანობას.

სარევიზიო კომისიის საქმიანობაზე საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს კოოპერატივის საერთო კრების სახელზე სარევიზიო კომისიის მეშვეობით, რომელიც ვალდებულია საჩივარი მოახსენოს და მისცეს განმარტება მორიგ საერთო კრებას.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით ზიანი მიაყენეს კოოპერატივს, ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა კოოპერატივის წინაშე.

31. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება იყვნენ ცოლ-ქმარი, შვილები, შვილიშვილები, ღვიძლი ძმები, დები და მათი მეუღლეები.

32. კოოპერატივი თავის საქმიანობას ეწევა მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მეთვალყურეობითა და კონტროლით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს კოოპერატივი. ამასთან აღმასკომს უფლება აქვს გააუქმოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამ წესდებას.

33. სამოქალაქო უფლებრივი დაფა კოოპერატივისა და მის წევრებს შორის უნდა გადაიჭრას სასამართლო წესით, ხოლო კოოპერატივისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის წამოჭრილ დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი.

34. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს შეუძლია შეიტანოს საერთო კრების გადასაწყვეტად საკითხი, რომ კოოპერატივიდან გარიცხოს, აგრეთვე კოოპერატივის გამგეობასა და სარევიზიო კომისიაში მუშაობისაგან გადაყენებულ იქნენ ის პირები, რომლებმაც დაარღვიეს მოქმედი კანონმდებლობა და ეს წესდება.

იმ შემთხვევაში, როცა წევრთა საერთო კრება არ ეთანხმება ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის რჩევას კოოპერატივის რომელიმე წევრის გარიცხვის შესახებ, ასეთი წევრის კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი.

#### კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მისი საქმეების ლიკვიდაცია

35. კოოპერატივის საქმიანობა წყდება, მისი საქმეებისა და ქონების ლიკვიდაცია ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) კოოპერატივი სასამართლოს მიერ ცნობილია ვალაუფვალად;
- ბ) კოოპერატივმა მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს კოოპერატივი, გადაუხვია წესდებაში აღნიშნულ მიზანს;
- გ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ საქიროდ დაინახა მისი ლიკვიდაცია (შეერთება, გაყოფა, მიერთება).

კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილება კოოპერატივის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ უნდა დაამტკიცოს მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს კოოპერატივი.

კოოპერატივის რეორგანიზაციის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 37-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნები.

36. კოოპერატივის საქმეთა ლიკვიდაცია ხდება კოოპერატიულ ორგანიზაციათა საქმიანობის შეწყვეტის მოქმედი წესის შესაბამისად. ამასთან სავალდებულოა მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლის მონაწილეობა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს კოოპერატივი.

37. კოოპერატივის ქონება, რაც დარჩენილია კოოპერატივისადმი წაყენებული ყოველგვარი პრეტენზიის დაკმაყოფილებისა და კოოპერატივის წევრებისათვის საპაიო შესატანის დაბრუნების შემდეგ, აგრეთვე კოოპერატივის მთელი საქმეები და საბუთები გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს კოოპერატივი.

**79** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟაჟის დეპუტატების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟაჟის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**.

ქ. თბილისი. 1976 წ. 8 ოქტომბერი, № 707.



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის (აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი) და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის (აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი) შესახებ

1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი) და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი) არიან ორგანოები, რომლებიც წყვეტენ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილ სამეურნეო დავას დაწესებული კომპეტენციის თანახმად; და ექვემდებარებიან შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს.

2. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

— ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სამეურნეო ანგარიშის განტყიცებას, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირუბრუნების განვითარებას, ხელშეკრულების როლის გაძლიერებას მათს ურთიერთობაში და მათი თანამშრომლობის განვითარებას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში;

— აქტიურად მოახდინონ ზემოქმედება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას საწარმოებზე, ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე, რათა დაიცვან სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დროს; იბრძოლონ კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებათა წინააღმდეგ;

— უზრუნველყონ სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა თავიანთ საქმიანობაში, კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენება სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

— სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ საარბიტრაჟო პრაქტიკა და ამის საფუძველზე შეიმუშაონ წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ

სამეურნეო ურთიერთობის სრულყოფას, აგრეთვე ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

3. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით და შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მთავრობათა დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებებით.

4. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი:

ა) უზრუნველყოფენ სამეურნეო დავის სწორად და დროულად გადაწყვეტას, ამ დავის განხილვისას ქონებრივი სანქციების განუხრილად გამოყენებას იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ საგემო დავალიბებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებებს;

ბ) შეისწავლიან და განაზოგადებენ განხილული სამეურნეო დავის მასალებს ცალკეული კატეგორიებისა და მეურნეობის დარგების მიხედვით. შეისწავლიან დავის წარმოშობის მიზეზებს, შეიმუშავებენ და განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მათი თავიდან აცილების მიზნით და დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების წესის მტკიცედ დაცვის უზრუნველსაყოფად;

გ) განაზოგადებენ განხილული დავის მასალების მიხედვით სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებენ წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და საჭირო შემთხვევებში შეიტანენ მათ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის განსახილველად, პროპაგანდას გაუწყვენ სამეურნეო კანონმდებლობას;

დ) აცნობებენ დავის განხილვის დროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში გამოვლინებულ არსებით ნაკლოვანებათა შესახებ მათს ხელმძღვანელებს ან ზომიერ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად; გადასცემენ საჭირო შემთხვევებში შესაბამის ორგანოებს მასალებს, რათა განიხილონ საკითხი დამნაშავე პირთათვის დისციპლინური (სასჯელი) დადების ან ფოლადი დარიცხვის წარმოების, ანდა დადგენილი წესით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათი მიცემის შესახებ.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიიღონ ზომები სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გამოვლინებულ



ნაკლოვანებათა აღმოსავლურად და ერთი თვის ვადაში აცნობონ მასზე მათი ხელმოწერითა და ხელმოწერის შემთხვევაში;

ე) მოახსენებენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საგეგმო დავალებათა და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისას დაშვებული სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის ყველაზე სერიოზული დარღვევების შესახებ;

ვ) მიიღებენ ზომებს არბიტრაჟის კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, შექმნიან მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობებს; დადგენილი წესით დააჯილდოებენ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს საპატიო სიგელებით და გამოიყენებენ სხვა სახის წახალისებებს;

ზ) წარუდგენენ საქართველოს სს სახელმწიფო არბიტრაჟს დაწესებულ ვადებში სტატისტიკურ ანგარიშებს, გამოიყენებენ საარბიტრაჟო სტატისტიკის მონაცემებს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

5. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტენ:

ა) დავას, რომელიც წამოიჭრება შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური (ასსრ) ან ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების დროს, აგრეთვე სხვა საფუძვლების მიხედვით;

ბ) დავას, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც თანხა არ აღემატება 2 მილიონ მანეთს, აგრეთვე ისეთ ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება 15 ათას მანეთს, თუ:

მხარეები არიან აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები;

ერთი მხარე არის რესპუბლიკური ან ადგილობრივი დაქვემდებარების (საქართველოს სსრ) საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, ხოლო მეორე — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ დაქვემდებარებული საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება;

ერთი მხარე არის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, ხოლო მეორე — სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება;

გ) დავას არაქონებრივი ხასიათის სარჩელების მიხედვით, აგრეთვე დავას, რომელიც წამოიჭრება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის გამოყენებასთან დაკავშირებით;

დ) დავას, რომელიც წამოიჭრება რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც ტვირთბრუნვა დღე-ღამეში არ აღემატება 50 ვაგონს;

მუხ. 70  
 1935 წლის  
 1935 წლის

ე) დავას, რომელიც გადაეცემა მოცემული სახელმწიფო არბიტრაჟის სახილველად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შესაბამისად.

6. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დავას განიხილავენ სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის იმ წესების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ.

7. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟსა და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟში გადაწყვეტას არ ექვემდებარება:

ა) დავა ავტონომიური რესპუბლიკის ერთი სამინისტროს, უწყების, მინისტრთა საბჭოს სამმართველოს (განყოფილების), კოოპერაციული სისტემის ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის;

ბ) კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დავა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის;

ვ) დავა გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გამო, რომელთა გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოებს გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების შესაბამისად;

დ) დავა ბანკების მიერ იმ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ოპერაციების გამო, რომ ფინანსური კონტროლი გაუწიონ იმას, რათა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად გამოიყენონ კაპიტალური დახანდებისათვის გამოყოფილი სახსრები (გარდა არბიტრაჟის ორგანოებში განსახილველი დავისა ხელშეკრულების მიხედვით მისაწოდებელი მოწყობილობის, მანქანებისა და სხვა, ძირითადი ფონდებისათვის მიკუთვნებულ, მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების გადახდის შესახებ);

ე) დავა, რომელიც წამოიჭრება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეთანხმების დროს;

ვ) დავა მისაწოდებელი პროდუქციის ფასების დაწესების შესახებ, აგრეთვე გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შესახებ, თუ ეს ფასები და ტარიფები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება დაწესდეს მხარეთა შეთანხმებით;

ზ) დავა, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, რომელთაც საფუძვლად არ უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო საგეგმო დავალება, თუ სხვა პირობა დათქმული არ არის კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით;

თ) დავა 100 მანეთზე ნაკლები თანხის გამო;

ი) სხვა დავა, რომლის გადაწყვეტა კანონმდებლობით განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას.

8. სახელმწიფო არბიტრაჟები დავას განიხილავენ დაინტერესებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განცხადებების ან ზემდგომ ორ-





განოთა იმ განცხადებების მიხედვით, რომლებიც შეტანილია საქვეუწყებლო-სახელმწიფო წარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ინტერესებისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟები აღძრავენ საქმეებს საკუთარი ინიციატივით თუ მოიპოვება მონაცემები იმის შესახებ, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დაარღვიეს სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგეგმო დავალებათა და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების დროს. ამ შემთხვევებში გადახდებინებული საუპირო (ჯარიმა, საურავი) მთლიანად ან ნაწილობრივ გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ან იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სასარგებლოდ, რომელთა ინტერესებისათვისაც აღძრულია საქმე.

9. სახელმწიფო არბიტრაჟები მთლიანად ან გარკვეულ ნაწილში ბათილად ცნობენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, სახელმწიფო გეგმებსა და დავალებებს, და ავალბენ მხარეებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი დადებულ ხელშეკრულებებში.

10. დავა სახელმწიფო არბიტრაჟების განსახილველად შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები ოილებენ ზომებს მისი უშუალოდ მოგვარებისათვის. ასეთი ზომების მიღების დამადასტურებელი საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში სასარჩილო განცხადება განსახილველად არ მიიღება და დაუბრუნდება მოსარჩლეს.

11. სახელმწიფო არბიტრაჟი დავას განიხილავენ სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა წარმომადგენლები სახელმწიფო არბიტრის თავმჯდომარეობით.

სახელმწიფო არბიტრაჟებში მხარეთა წარმომადგენლები არიან საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელები ან ხელმძღვანელთა მოადგილეები, ანდა მათი რწმუნებით აღკუთრვილი ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა სხვა მუშაკები, აგრეთვე მოდავე მხარეთა მიმართ ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირნი.

12. სახელმწიფო არბიტრაჟს თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით შეუძლია სავალდებულოდ არ მიიჩნიოს სახელმწიფო არბიტრაჟის სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლების გამოცხადება, თუ საქმის მასალები საშუალებას იძლევა გადაიჭრას დავა მხარეთა წარმომადგენლების დაუსწრებლად.

13. სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ მოსარჩლემ არასაბატიო მიზეზით არ წარადგინა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო მოთხოვნილი მასალები ან მოსარჩლის წარმომადგენელი არ გამოცხადდა არბიტრაჟის სხდომაზე გამოძახებით და მისი გამოუცხადებლობა აბრკოლებს საქმის განხილვას.

14. სახელმწიფო არბიტრაჟებს უფლება ენიჭებათ:

ა) დავის გადაწყვეტისას ახსნა-განმარტების მისაცემად გამოუძახონ მოდავე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მათ მიმართ ზემდგომ ორგანოთა თანამდებობის პირებს, აგრეთვე იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამდებობის პირებს, რომლებიც არ არიან მხარეები საქ-

მის გამო, თუ მათს ახსნა-განმარტებებს არსებითი მნიშვნელობა ექნება დავის გადასაწყვეტად;

ბ) მოსთხოვონ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ისეთი დოკუმენტების, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად;

გ) დანიშნონ ექსპერტიზა;

დ) გაეცნონ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში მასალებს, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად.

საჭირო შემთხვევებში დავა შეიძლება განხილულ იქნეს უშუალოდ იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, რომლებიც საქმის გამო მხარეებს წარმოადგენენ.

15. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფო არბიტრი და დავის განხილვაში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები არბიტრაჟის სხდომაზე საქმის ყველა გარემოების განხილვის შედეგად.

სახელმწიფო არბიტრი ხელს უწყობს იმას, რომ მხარეთა წარმომადგენლებმა მიადწიონ შეთანხმებას დავის გამო. თუ მხარეთა შეთანხმება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, საქმის მასალებს ან თუ მხარეთა შორის არის უთანხმოება, ანდა საქმე განხილულ იქნა ერთი ან ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე, გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო არბიტრი.

მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება სხდომაზე საქმის განხილვის შემდეგ. განსაკუთრებით რთულ საქმეთა გამო სახელმწიფო არბიტრს შეუძლია გადადოს გადაწყვეტილების მიღება არა უმეტეს 3 დღის ვადით.

გადაწყვეტილებას საქმის გამო ხელს აწერს სახელმწიფო არბიტრი, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას.

16. სახელმწიფო არბიტრაჟს საქმის გამო გადაწყვეტილების გამოტანისას ეფლება აქვს:

ა) შეამციროს განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ საუპიროს (ჯარიმის, საურავის) ოდენობა, რომელიც უნდა გადახდეს ვალდებულების დამრღვევ მხარეს;

ბ) გადაახდევინოს ხელშეკრულების პირობების უხეშად დამრღვევ მხარეს საუპირო (ჯარიმა, საურავი) 50 პროცენტამდე გადიდებული ოდენობით, ამასთან გადახდევინებული თანხის ეს ნაწილი გადაირიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

გ) გადაახდევინოს საკუთარი ინიციატივით საუპირო (ჯარიმა, საურავი) საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც არ შეასრულეს საგეგმო დავალებანი და სახელშეკრულებო ვალდებულებანი, თუ ასეთი მოთხოვნები სანქციების შესახებ წარდგენილი არა აქვს მოსარჩელეს, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული თანხები გადაირიცხოს მხარის სასარგებლოდ ან საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

დ) ჩარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში მთლიანად ან ნაწილობრივ გადასახდევინებელი საუპირო (ჯარიმა, საურავი), თუ დავის გადაწყვე-



ტის დროს გამოირკვა, რომ მოსარჩლემ დაუშვა კანონმდებლობის დარღვევები, რომლებიც არ ამცირებენ მოპასუხის პასუხისმგებლობას;

ე) სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს გადაახდევინოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც დაუშვეს პრეტენზიათა წარდგენისა და განხილვის დაწესებული ვადების დარღვევა, და გადარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში სარჩელის თანხის 2 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 10 მანეთისა და არაუმეტეს 1000 მანეთისა.

17. სახელმწიფო არბიტრაჟების გადაწყვეტილებანი სამეურნეო დავის გამო საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება ხდება ბრძანების საფუძველზე. ბრძანება გამომდევინებულს, როგორც წესი, ეძლევა გადაწყვეტილებასთან ერთად. სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს ბრძანება ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ უშუალოდ გაუგზავნოს ბანკს გამომდელს ადგილსამყოფელის მიხედვით.

სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებას აღსრულებითი დოკუმენტის ძალა აქვს. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებიდან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ ბრძანებათა სისრულეში მოყვანა ხდება დადგენილი წესით ბანკის მეშვეობით. დანარჩენ შემთხვევებში ბრძანებები სისრულეში მოჰყავთ სასამართლო აღმასრულებლებს.

ბრძანება შესასრულებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს გადაწყვეტილების გამოტანის ან იმ ვადის დამთავრების დღიდან 3 თვის განმავლობაში, რომელიც სახელმწიფო არბიტრაჟმა დააწესა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების ან განვადების დროს.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბრძანების შესრულება ბანკის ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ და ამასთან დაკავშირებით იგი შეუსრულებლად დაბრუნდა, ახალი 3 თვის ვადა გადაწყვეტილების შესასრულებლად გამოიანგარიშება ბრძანების დაბრუნების დღიდან.

18. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგანან მთავარი არბიტრები.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრსა და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით.

19. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი პერსონალურად არიან პასუხისმგებელი სახელმწიფო არბიტრაჟისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებენ სახელმწიფო არბიტრაჟის თანამ-

დებობის ძირთა პასუხისმგებლობას სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის შესახებ კალკულულ სფეროებში.

20. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებისათვის, და ამოწმებენ მათს შესრულებას; ნიშნავენ თანამდებობაზე და ათავისუფლებენ თანამდებობიდან სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს.

21. ამ დებულების მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში აღნიშნული დავის გამო სახელმწიფო არბიტრების გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმება ხდება შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით.

22. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმება ზედამხედველობის წესით ხდება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით.

23. სახელმწიფო არბიტრაჟებს აქვთ ბეჭდები, რომლებზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მათი დასახელება.

## 80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის № 234 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან სახელმწიფო არბიტრაჟების შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 14 მაისის № 234 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. დამატოს 1-ლ პუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟები ექვემდებარებიან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-





სახელმწიფო არბიტრაჟსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს, უზრუნველყოფს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო არბიტრაჟისა და სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენებას, აგრეთვე ზედამხედველობას სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სისწორისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი პასუხისმგებელია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟების საქმიანობის ორგანიზაციის, მდგომარეობისა და სრულყოფისათვის“.

2. მე-3 პუნქტის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო არბიტრაჟებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა მათს საქმიანობაში, საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო არბიტრაჟისა და სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მიერ კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას.“

3. მე-5 პუნქტის „ბ“, „ვ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მოაწყობს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟების მუშაობას სამეურნეო დავის მასალების შესასწავლად და განსაზოგადებლად ცალკეული კატეგორიებისა და მეურნეობის დარგების მიხედვით, შეისწავლის დავის წარმოშობის მიზეზებს, შეიმუშავებს და განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათი თავიდან აცილების მიზნით და დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების წესის მტკიცედ დაცვის უზრუნველსაყოფად“;

„ვ) სისტემატურად შეამოწმებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟების საქმიანობას, შეისწავლის საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილებას, ინსტრუქტაჟს გაუწევს მათ დავის გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხებზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებანი სამეურნეო დავის გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხებზე სავალდებულოა სახელმწიფო არბიტრაჟებისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟებისათვის“;

„ზ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ არბიტრაჟის ორგანოთა კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი; დადგენილი წესით დააჯილდოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟების მუშაკებს საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს“;

„თ) მოაწყობს მუშაობას საარბიტრაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის და გამოიყენებს მის მონაცემებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისათვის წინადადებათა მოსამზადებლად“.

4. მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ დავას განიხილავენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟები ამ სახელმწიფო არბიტრაჟების დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული, მისადმი დაქვემდებარებული, დავის გადაწყვეტა დაავალოს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟსა და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟს, თუ მხარეები იმყოფებიან აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ ტერიტორიაზე“.

5. 22-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას“.

6. 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი და მთავარი არბიტრის მოადგილე:

ა) მხარეთა განცხადებების მიხედვით და საკუთარი ინიციატივით ამოწმებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ იმ დავის გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს, რომელთაც ისინი განიხილავენ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დავალებით ამ დებულების მე-7 პუნქტის შესაბამისად;

ბ) მხრეთა განცხადებების მიხედვით და საკუთარი ინიციატივით, ზედამხედველობის წესით ამოწმებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟების მთავარი არბიტრების მიერ ამ სახელმწიფო არბიტრაჟებისადმი დაქვემდებარებული დავის გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს“.

7. 24-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე აბზაცი:

„ამ დებულების 23-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილებების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ განცხადებათა შეტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში არ დაიშვება, თუ სადავო თანხა (ქონებრივი დავის მიხედვით) 500 მანეთზე ნაკლებია“.

8. 25-ე პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრსა და მთავარი არბიტრის მოადგილეს გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმების შედეგების მიხედვით შეუძლიათ უცვლელად დატოვონ, შეცვალონ ან გააუქმონ გადაწყვეტილება, მიიღონ ახალი გადა-

წყვეტილება, გადასცენ საქმე ახლად განსახილველად საქართველოს სსრ იმავან სხვა სახელმწიფო არბიტრაჟს, შეწყვიტონ საქმის წარმოება“.

9. 28-ე პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟების საქმიანობის, მათ მიერ სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის ძირითად საკითხებს, სახელმწიფო არბიტრაჟებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, ისმენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებისა და განყოფილებათა უფროსების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟების მთავარი არბიტრების ანგარიშებს, საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგებს, განიხილავს ნორმატიული აქტების პროექტებსა და უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და დადგენილებათა პროექტებს“.

10. 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი დადგენილი წესით იწვევს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟებისა და სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაკთა თათბირებს, რომლებიც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, განიხილვენ სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს და არბიტრაჟების მუშაობის პრაქტიკის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს“.

11. 31-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის საშტატო განრიგს (დაწესებული შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით), აგრეთვე განყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი. განყოფილებათა დებულებებში განისაზღვრება მათი რწმუნებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნჯარიძე.**

# 81 ივანე მაჩაბლის სახელობის რესპუბლიკური პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირისა და მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წინადადება და მხატვრული თარგმანის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის დაწესდეს ივანე მაჩაბლის სახელობის ორი რესპუბლიკური პრემია.
2. ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მინიჭებულ იქნეს ორ წელიწადში ერთხელ, თითოეული პრემია განისაზღვროს 1500 მანეთის ოდენობით.
3. ნება დაერთოს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიას პრემიის თანხა გასცეს მისთვის ბიუჯეტით დამტკიცებული საერთო ხარჯების ფარგლებში.
4. დამტკიცდეს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მინიჭების დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 14 სექტემბერი, № 719.



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

1. ი. მაჩაბლის სახელობის პრემიას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ორი ფულადი პრემია — თითოეული ათას ხუთასი მანეთის ოდენობით) ანიჭებს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან ერთად საუკეთესო მხატვრული თარგმანისათვის, მისი ისტორიისა და თეორიის დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის.

2. პრემიის მისანიჭებლად კანდიდატურებს, თარგმნილ ნაწარმოებებსა და შრომებს ადგენენ საქართველოს მწერალთა კავშირი, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია, საქართველოს მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის გამომცემლობები, ლიტერატურული ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციები, უმაღლესი სასწავლებლები, აღმანახების „საუნჯის“, „განთიადის“ და „კრიტიკის“ რედაქციები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტები.

3. საპრემიოდ წარმოდგენილ უნდა იქნეს წინა კალენდარულ სამ წელიწადში მხატვრული თარგმანის დარგში გამოცემული ნაწარმოებები და შრომები, რომლებიც მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას უნდა ჩაბარდეს პრემიების მინიჭების წინა წლის 1 ნოემბრამდე მანქანით დაბეჭდილ ოთხ ცალად. ნაწარმოებებსა და შრომებს თან უნდა ჰქონდეს დართული წარდგინება და რეცენზია-შეფასება.

4. საპრემიოდ არ მიიღება ის თარგმანები და შრომები, რომელთაც ადრე საკავშირო და რესპუბლიკური პრემია დაიმსახურეს.

5. პრემია შეიძლება მიენიჭოს განმეორებით, პრემიის მინიჭებიდან შვიდი წლის შემდეგ, თუ ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატს ახალი დიდი მიღწევები ექნება.

6. საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს და მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრები ვალდებული არიან განიხილონ წარმოდგენილი მასალები და წამოაყენონ პრემიის მოპოვების კანდიდატები, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მინიჭება მოხდეს ივანე მაჩაბლის დაბადების დღეს — 8 თებერვალს.

7. გადაწყვეტილებას პრემიის მისანიჭებლად კანდიდატების წამოყენების შესახებ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს და მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრთა გაერთიანებული სხდომა იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო პრემიის საბოლოო მინიჭებისათვის — ფარული კენჭისყრით ხმების ორი მესამედის საფუძველზე.

8. საქართველოს მწერალთა კავშირის და მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრთა გაერთიანებული სხდომის დადგენილება და რეცენზია-დასკვნა თარგმნილ ნაწარმოებსა და შრომაზე, რომლებსაც მიენიჭათ პრემია, ქვეყნდება ლიტერატურულ პრესაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ პრემია მიენიჭებათ მთარგმნელთა და ავტორთა კოლექტივებს, საპრემიო თანხა თანაბრად ნაწილდება.

**82** „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილებაში ნაწილობრივ დამატებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილების მეორე პუნქტში სიტყვების „თავსამკაულის შეკერვა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „გარდა ეროვნულ სახეობათა თავსამკაულებისა (თუშური, სვანური, იმერული, ოსური ქუდები, ყაბალახი და სხვა)“, ამავე პუნქტში სიტყვებს „ავეჯისა და ჩემოდნების დამზადება“ დაემატოს „გარდა ავეჯებისა“, სიტყვებს „ტანსაცმლის კერვა“ დაემატოს „გარდა ეროვნული ტანსაცმლისა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარიბა**.



**83** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებანი“ ცვლილებათა შეთანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების VIII ყრილობის წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებანი“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. წესდების მე-2 პუნქტის მე-5 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელი შეუწყოს თეატრალურ მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და მხატვრული ხელოვნების ოსტატობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, ძველი ქართული და საბჭოთა თეატრის კლასიკური მემკვიდრეობის, გამოცდილებისა და საუკეთესო ტრადიციების დაუფლებას; თანამედროვე საბჭოთა ქართული სასცენო ხელოვნების ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიებასა და განვითარებას“.

2. წესდების მე-2 პუნქტის მე-7 აბზაცის შემდეგ დაემატოს ახალი, მე-8 აბზაცი:

„ამ მიზნით შექმნილი „მეგობრობის თეატრის“ საშუალებით უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი თეატრალური ხელოვნების მიღწევათა პროპაგანდა ჩვენს რესპუბლიკაში, აგრეთვე, თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ჩვენება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“.

3. წესდების მე-3 პუნქტის მე-12 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოამზადებს და გამოსცემს გრიფით „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“ ხელნაწერებსა და წიგნებს, რომლებშიც განზოგადებული იქნება რევოლუციამდელი და ქართული საბჭოთა თეატრისა და მისი ოსტატების შემოქმედებითი გამოცდილება, აგრეთვე თეატრალურ მოღვაწეთა მემუარებს, მეთოდურ და პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოებს თეატრის საკითხებზე, პიესებს, ლიტერატურას თვითშემქმნილი თეატრალური წრეებისა და სახალხო თეატრების დასახმარებლად, აგრეთვე კრებულებს; რომლებიც ასახვენ თეატრალური საზოგადოების ცხოვრებას“.

4. წესდების მე-8 პუნქტის პირველ აბზაცს დაემატოს შემდეგი ტექსტი:

„ან საქართველოს თეატრალური საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განყოფილებათა გამგეობებისა და პრეზიდიუმების მიერ“.

5. წესდების მე-10 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვების ნაცვლად:

„იწვევენ ოთხ წელიწადში ერთხელ“, იკითხებოდეს „იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ“.

6. წესდების მე-11 პუნქტის მე-5 აბზაცს დაემატოს „და პასუხისმგებელ დივანს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ზ. კატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საკმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნჯარიანი**

ქ. თბილისი, 1976 წ. 22 ოქტომბერი, № 733.

## 84 აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების დეპუტატების და მტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების სტრუქტურის, შტატების, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ნოემბრის № 623 დადგენილების მე-4 პუნქტით დამტკიცებული დებულება.
3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერიოდულად განიხილოს აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების მუშაობის გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება გაერთიანების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ზ. კატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საკმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 22 ოქტომბერი, № 741.



დამატებითი  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1976 წლის 22 ოქტომბრის დადგენი-  
ლებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების შესახებ

1. აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ოქტომბრის № 550 დადგენილებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1974 წლის 10 დეკემბრის № 2007 ბრძანების საფუძველზე, წარმოადგენს რაიონის სოფლის მეურნეობის კომპლექსური ხელმძღვანელობის ორგანოს და თავის საქმიანობაში ექვემდებარება რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

2. გაერთიანებაში შედის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ აბაშის რაიონული გაერთიანება და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო. გაერთიანების გამგებლობაშია საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც განლაგებულია რაიონის ტერიტორიაზე.

გაერთიანებას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ აბაშის რაიონში თავიანთი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ მართვის რაიონული გაერთიანების მეშვეობით.

3. გაერთიანება თავის საქმიანობას ახორციელებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, ამ დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

4. გაერთიანების ძირითადი ამოცანებია:

— კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების უზრუნველყოფა;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

— კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ეკონომიკის განმტკიცება და შედგომი აღმავლობა, საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

5. დასახული ამოცანების შესასრულებლად გაერთიანება:

ა) აწარმოებს „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ასევე მის გამგებლობაში მყოფ-

ფი სხვა ორგანიზაციების დაგეგმვას, დაფინანსებასა და მატერიალურ მომარაგებას შესაბამისი ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული გეგმების საფუძველზე.

აღგენს პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის რაიონის საკონტროლო მაჩვენებლების მიხედვით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებს, შეაქვს იგი დასამტკიცებლად რაისაბჭოს აღმასკომში და დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მის გაცნობას მეურნეობებისათვის;

ბ) დაამუშავებს რაიონის სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების გეგმების პროექტებს, მონაწილეობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების სპეციალიზაციის განსაზღვრაში, საწარმოების განლაგების, სპეციალიზაციისა და განვითარების გეგმების განხილვაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმღები პუნქტებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის განხილვაში;

გ) პრობაგანდას უწევს და ნერგავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევებს; ეხმარება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კადრების შერჩევასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში, სპეციალისტებით უზრუნველყოფაში;

დ) ახორციელებს კონტროლს რაიონში მიწების გამოყენებისადმი, მიწათმოსარგებლეთა მიერ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, მორწყვისა და დაშრობის ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

ხელმძღვანელობს უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიდასამეურნეო სამელიორაციო ქსელისა და მასზე არსებულ ნაგებობათა მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციას.

ახორციელებს სახელმწიფო სარწყავი და საშრობი სისტემების მოვლა-პატრონობისა და მათი სწორი ექსპლუატაციისადმი კონტროლს.

ე) ხელმძღვანელობს უწევს ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებასა და მიწათმოწყობის სამუშაოებს; უზრუნველყოფს მიწების სახელმწიფო აღრიცხვის მოწესრიგებას და აღგენს რაიონის მიწის ბალანსს;

ვ) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, სანაშენო საქმისა და ცხოველთა ხელოვნური დათესვლის, ვეტერინარული ზედამხედველობის, ცხოველთა დაავადებების სალიკვიდაციო და სხვა სამუშაოებს, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით;

ზ) უზრუნველყოფს კონტროლს თესლისა და სარგავი მასალის ხარისხისა და გამოყენებისადმი.

ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო მეცნარეობის მავნებლებისა და დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებს და შხამქიმიკატების სწორად გამოყენების კონტროლს.



მეთვალყურეობას უწევს მინერალური სასუქების შენახვას, გადამამუშავებასა და უსაფრთხოების წესების დაცვას;

თ) ზედამხედველობას უწევს ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის გამოყენებას, მოვლასა და დაცვას, აგრეთვე ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს;

ი) ხელმძღვანელობს კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების წესდებების მომზადება-განხილვას და რაისაბჭოს აღმასკომში მათი რეგისტრაციის საქმეს;

კ) ამზადებს და შეაქვს განსახილველად რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომში წინადადებები რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა საკითხებზე, რომლებიც შედის რაისაბჭოს აღმასკომის კომპეტენციაში;

ლ) ხელმძღვანელობს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებას, კონტროლს უწევს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ სახელმწიფო შესყიდვისა და ჩაბარების გეგმების შესრულებას;

მ) ეხმარება კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მის გამგებლობაში მყოფ სხვა ორგანიზაციებს საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო მეურნეობის მოწესრიგებაში, ახორციელებს მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიებს და იხილავს მათ შედეგებს;

ნ) ახორციელებს ღონისძიებებს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების, სახელმწიფო კრედიტების ათვისებისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების უზრუნველსაყოფად;

ო) სისტემატურად ამოწმებს კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და მის გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო ორგანიზაციებში წესდებისა და დებულების დაცვის მდგომარეობას, შრომის დისციპლინის, ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხების მოწესრიგებას;

პ) დადგენილ ვადებში იხილავს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს;

ჟ) ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მუშაობას კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მის გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო ორგანიზაციებში, ქმნის ეკონომიკური ანალიზის ბიუროებს და დახმარებას უწევს მათ მუშაობაში;

რ) პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის და იხილავს მის შედეგებს. უზრუნველყოფს მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებათა განხორციელებას;

ს) ხელს უწყობს მოსახლეობას პირადი დამხმარე მეურნეობის დანიშნულებისამებრ წარმართვაში.

6. გაერთიანება თავის საქმიანობას აწარმოებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.



7. გაერთიანების გამგებლობაში მყოფი „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო და საბჭოთა მეურნეობები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროდან და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკიდან“ დაშვებულ საგეგმო დავალებებს, დაფინანსებას და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს იღებენ გაერთიანებიდან და ანგარიშვალდებული არიან მის და შესაბამის ზემდგომი ორგანოების წინაშე.

8. გაერთიანების შენახვა ხდება ბიუჯეტით და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ანარიცხების ხარჯზე.

9. გაერთიანების ხელმძღვანელობა:

გაერთიანებას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც ამავე დროს არის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. უფროსს ჰყავს მოადგილეები;

გაერთიანების უფროსს ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან რაისაბჭოს აღმასკომი შესაბამის ზემდგომ უწყებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

10. გაერთიანების უფროსი:

ხელმძღვანელობს გაერთიანების და მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას;

შეაქვს მშრომელთა დებუტატების რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტში დასამრტიკივლად გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები სოფლის მეურნეობის საკითხებზე;

გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპერეციის ფარგლებში ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

განაგებს კრედიტებსა და ფინანსურ საშუალებებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებისა და ასიგნებათა ფარგლებში;

იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან მუშაკებს დაწესებულ ნომენკლატურის მიხედვით;

ამტკიცებს მის გამგებლობაში მყოფი ორგანიზაციების გეგმებსა და ანგარიშებს;

ადგენს გაერთიანების მუშაობის წლიურ და პერიოდულ ანგარიშებს და წარადგენს რაიაღმასკომში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში;

მიიღებს მოქალაქეებს, იხილავს მათ განცხადებებს, წერილებს, საჩივრებსა და წინადადებებს და იღებს საჭირო ზომებს.

11. გაერთიანება აკრძალავს დემოკრატიულ საფუძვლილზე. გაერთიანებისა და მასში შემავალი საწარმო-ორგანიზაციების ინტერესების ურთიერთ შეზამების, გაერთიანების სამეურნეო მაჩვენებლების შედგებისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამალღების მიზნით გაერთიანებაში იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის გაერთიანების უფროსი — იგივე საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კოლმეურნეობათა თავ-



მჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და გაერთიანების გამგებლობაში მყოფი სხვა საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

საბჭოს ევალება:

— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების და ამ გეგმების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხილვა და დამტკიცება;

— მეურნეობათა სპეციალიზაციის, მიწათმოქმედების კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საკითხების განხილვა;

— გამომუშავების ნორმების სრულყოფის, შრომის ორგანიზაციის, დისციპლინისა და ანაზღაურების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის უსაფრთხოებისა და შრომის კანონმდებლობის დაცვის წინადადებათა განხილვა;

— სამეურნეობათაშორისო საწარმოთა ორგანიზაციისა და მათი საქმიანობის წარმართვის საკითხების განხილვა;

— სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქების, მოწყობილობის, კაპიტალური დაბანდებების, კრედიტების, საშენ მასალათა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა განაწილებისა და გამოყენების გეგმების განხილვა.

12. საბჭო მოისმენს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ანგარიშებს საწარმო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

13. იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას შეადგენს, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ფორმდება გაერთიანების უფროსის ბრძანებით და სავალდებულოა რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და დამზადებასთან.

საჭირო შემთხვევებში საბჭო გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შეუსრულებლობისათვის მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობის საკითხს, აგრეთვე დადგენილი წესით შეაქვს წინადადებანი მათი შეცვლის შესახებ.

საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.

14. გაერთიანება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1978 წელი

ბაზომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-75 წ. ქალაქის ზომა  $70 \times 108 \frac{1}{16}$   
საბეჭდი თაბახი 4,5 სააღრიცხვო თაბახი 4,5



0 2765